

0-20

973
Library of the
Georgian State University

საქართველოს
საბჭოთავო
მეცნიერებათა
აკადემია

საქართველო

საქართველოს
დასახელება





№ 890
№ 1074
№ 2
№ 973.2

1919



№ 1.

მუხრანის



სიყვარული.

6-22



ნაპარული



საუბრაჲვილო ჟურნალი

წელიწადი 80-XV.

მატი, 1919 წ. № 1.

9185-7
962-5481


2476



ყრმა იესო ტაძარში მწველულებს ესაუბრება.

შინაარსი:

I. ყრმა იესო ტაძარში მსწავლელებს ესაუბრება (სურათი)	1
II. ზამთარ-ზაფხული, ლექსი დ. ელიოზიშვილისა	3
III. მოგონებანი, ქალაქში, — გ. გოგუაძე	5
IV. ბულბულთ ხელმწიფის ქალი (ხალხური ზღაპარი ლექსად) დ. კასრაძისა	15
V. უცნაური ყმაწვილი (თარგ.), ნინო ნინიძისა	28
VI. აყუია, — იგაე-არაკი, ი. სიხარულიძისა	40
VII. დამოუკიდებელი საქართველო, ა. — ნელისა.	41
VIII. საქართველოს მტრები	49
IX. საქართველოს წყლები	54
X. გასართობი: შარადები და რებუსი	61
XI. შემოწირულება	64





ზამთარ-ზაფხული.



ა.

აზე ღრუბლები სკურავენ,
 ბევრად დაიკლო დღემო;
 ყველგან გამეფდა ბურუსი,—
 თვალი დახუჭა მზემო.

ხეები გაშიშვლებულან,
 უმუხთლოა მწვანე ფერმო;
 ველარსად ვხედავთ ყვავილებს,—
 თვალი დახუჭა მზემო.

ყინული... ყველგან ყინული
 გადიკრა მდინარემო;
 ცივა... კანკალობს მიდამო,—
 თვალი დახუჭა მზემო.

ქუჩაზედ ობოლსა ჰყინავს,
 ცრემლები ედინებაო;
 გაისმის წყველა ზამთრისა,—
 თვალი დახუჭა მზემო.

ბ.

ცას ჩამოსცილდა ღრუბელი,
ბევრად იმატა დღემო;
ყველგან გამეფდა სიმართლე,—
თვალი აჭყიტა მზემო.


ხეზედ ფოთოლი შრიალეებს,
გადაჰკრა მწვანე ფერმო;
ყველგანა ვზედავთ ყვაილეებს,—
თვალი აჭყიტა მზემო.

ჩქრიალი... ყველგან ჩქრიალი
დაიწყო მდინარემო;
სითბოა... ჰხარობს მიდამო,—
თვალი აჭყიტა მზემო.

ობოლი დაბტის ქუჩაზე,
იცინის, ელზინებო;
გაისმის ქება ზაფხულის,—
თვალი აჭყიტა მზემო.

დ. ულითბიშვილი.





მობონებანი

ქ ა ლ ა ქ შ ი

III.



უმცა დაედევინ გული და ყველაფერს შევეჩვიე, მაგრამ მამა მაინც არ იფიწყებდა ჩემ გამოქცევას და, ეტყობოდა, შიშობდა—კიდევ არ განშეორებულყო რამე.

ამიტომ გამომიცვალა ბინა და გიგო თავადისას გადამიყვანა.

სოტა აკლდა ცეკვა დამეწყო ქუჩაში—ისე მიხაროდა, როცა გავემგზავრეთ ახალ ბინისაკენ. მამას, ქილოფში გახვეული, ჩემი ლოგინი მიჰქონდა; მე წიგნებით და ტყავის ნაჭრებით სავესე ქეჩხოს მივაბრაბუნებდი.

—ა-ა? ახლა ხომ ველირსე მაინც, —ფექრობდი და დაწვრილებით წარმოვიდგინე ახალი ცხოვრება. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებდა—არ ვიყავი სათავადოთ ჩაცმული. წყლით დავისველე დალაქავებული შარვალი და გახდილი წულები, —გაშავდეს—მეთქი.

ისე გართული ვიყავი სასიამოვნო ფექრებში, —ვერც კი შევამჩნიე შეშლილ მარიკელას მოახლოება, თუმცა ქუჩაში ყოველთვის ფთხილად ვიყავი: ძლიერ მეშინოდა იმისი. მეტისმეტი ზორბა მოხუცი დედაკაცი, დაფლეთილ ძონძებში გახ-



საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ვეული, მუდამ გაბურძნული და პირ-დაუბანელი, ვეფხველი და ტკლესილ-დაკაწრული ტიტველა ფეხებით, — შეშლილიც რომ არ ყოფილიყო — მაინც საშიშარი იყო მარიკელა. თავი მუდამ ჩაღუნული ჰქონდა და წარბებს-ქვემოდან თეთრი დიდ-რონი თვალებით შემოუბღვევრდა გამვლელს; თან ჭკაც მომზადებული ჰქონდა ხელში. როგორ შეეძლო იმის ახლოს გაეცინა ვინმეს — ღიმილიც რომ შეემჩნია სახეზე, წყველა-კრულვით და მუქარით მიაშურებდა.

— რა გაცინებს, შენ ქრისტეს ფეხის მკამელო?... მოიცა აგერ, მოიცა — ამოგჭამს მაგ თვალებს მატლები! — უყვიროდა ის.

აღბად ახლა მე შემამჩნია — ვიღიმებოდი.

— რას იცქიპები, შენ გოჭინიავ? — დამიყვირა: — რა გაქვს ჭვეყანაზე სისიხარულო? — და გამოეჭანა.

მამამ ჯოხი მოიბრუნა, მაგრამ გაქცევა ვამჯობინეთ და კიდევაც მოვკურცხლეთ.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო მარიკელა მშვიდი და უშიშარი: ეს — როცა ტიროდა; მაგრამ ტიროდა იშვიათად და იგიც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად ვერ ითმენდა შეწუხება-შევიწროებას ძონძებში დაბუღებულ სხვა-და-სხვა დაუპატიებულ სტუმრებისაგან. გადასწყვეტდა თუ არა — დროა იმათ თავხედობას მოეღოს ბოლოო, დილიდანვე შეუდგებოდა საქმეს: დაჯდებოდა მოედანზე, იხსნიდა ძონძებს, ათვალთვრებდა და აწყობდა აქეთ-იქით.

— მირიკელაი გამოიჩენს დღეს ქალობას, — ამბობდნენ გამვლელნი, როცა დაინახავდნენ იმის დაბანაკებულს.

— ის კი არა — უფროთხილდი, შენც არ ავატიროს, — ეხუმრებოდნენ ერთმანეთს.

და მართლაც — აი რა ხდებოდა: —

მარიკელა ძონძებში წააწყდებოდა ბავშვის პატარა წითელ პერანგს — აბა რა არ ჰქონდა ყეღზე და წელზე შემოხვეული! — გაოცებული ატრიალებდა ხელში, დაიდებდა წინ და წარბებ-შეხრილი დაამტვრდებოდა — თითქო იგონებდა



რალაცას, და უცებ საზარელი წივილ-კივილი აყენებდა ქალაქს; ივლიყდა თმას, იკაწრავდა წაზრდილ ფჩხილებით სახეს—ისისხლავდა და წიოდა, წიოდა... მერე სტოვებდა ძონძებს და ცოტა იქით, სუფთა ბალახზე, გაშლიდა პაწაწა ქუქუციან პერანგს, მონახავდა, თუ სადმე იყო, თეთრ ყვავილებს, —სხვა ფერის ეჯავრებოდა, —დააწყობდა ზედ, მოუჯდებოდა და მოსთქვამდა, მოსთქვამდა:—

— შეილო ნენა, შეილო ნენა, ჩემო პუტკუჩელა... ჩემო სულის მარგალიტო... რატომ არ შეგეცოდე, რომ უღროოდ ამომგლიჯე გული და ჩამიშხამე სიცოცხლეო, —არ ზოგავდა სიტყვებს; და სიტყვებიც, წრფელი გრძნობით გამთბარი და მწარე ცრემლით განბანილი, უხვად და თავისუფლად ამოდირდა დედის გულიდან. და მართლაც, მარიკილას კი არა—ახლა უზომოდ დამწუხრებულ დედას ხედავდით; ბევრს ედებოდა იმის გულის დულილი და იწვევდა თანაგრძნობას. მაგრამ აგერ პაწაწა პერანგი ისევ მიიმალა ყელის ძონძებში, და მარიკელა, ისევ ის მარიკელა, ქვით ხელში, მიბაჯბაჯებს ქუჩაში და უყვირის ერთსა და მეორეს:—

— რა გაცინებს, შენ წყეულო, რაი? მაინც კი აქცევს ღმერთი ამ ქვეყანას, და გიხაროდეს ძალიან!..

— ეცადე არ დააწყევლინო თავი: მაგის წყევლა ერთიც არ დაიკარგება, —გამაფრთხილა მამამ და კიდევაც მიმითითა ხელი—მივედით თავადისასო.

დავინახე დიდი ერთსართულიანი შენობა. სახურავი ხვსით იყო გადაშვანებული და აქა-იქ ეკიდა ჩამომპალი ყვარი; ფანჯრებში ერთი ჩარჩოც არ გადარჩენილიყო, და სახლი ხუთი ჩაშავებული თვალით მისჩერებოდა ქუჩას, თითქო ეკითხებოდა გამელელს თავის მწარე ბედზე. მიყრუებულ ეზოში ამაღლებულიყო ბალახი.

— ამ პარტახში ცხოვრობს თავადი?—ვკითხე მამას გოცებულმა.

— ჩუმაღ—არ გაიგონონ, —გადმომხედა მამამ უკმაყოფილოდ, და კიდევაც ავედით კიბეზე, რომელიც ნახევრად ჩამონ-



გრეულიყო; გათლილი დიდრონი ქვები დატეხილნი ჯუჯრუტანებში ხელიკებს მოეწყობა ბინა, —ორი მათგანი ახლაც ნაზობდა შზეზე. ჩვენ დანახვაზე —ზანტად გადაცოცდნენ იქით და ისევ მიწვნენ, ერთი უფრო პატარა კიდევ შემობრუნდა, შემოგვებდა და შავი ენა მოისვა ბაგეზე.

— გიგო ბრძანდები შინ, გიგო? —იკითხა მამამ.

— მობრძანდით, მობრძანდით, —საიდგანლაც მოისმა ქალის ხმა.

შევედით ოთახში... აქ იატაკის ნამყოფიც არ ეტყობოდა და მეორე ოთახის კარებამდე ხიდი იყო გადებული —ორი დამპალი ფიცარი. ქვემოდ ბაღახი ამოსულიყო; მგონი ბოსტნეულობაც კი ერია შიგ. ზემოდ ცა კარგად მოსჩანდა. კედლებზე ეკიდა წვიმისაგან დაზოლილი ქალაღის ნაფლეთები. ერთ კედელზე გადარჩენილიყო რაღაც სურათის ნაწილი: ვილაცას აელო თავი, დაეკეცა ლაბაბი, გამოეჩინა წვრილი შეჩხერი კბილები და იცინოდა —ასე გეგონებოდათ, ხითხითსაც გავიგონებ, რომ შეეჩერდნენ და ყური დაუვდოდა. მეორე ოთახშიც მოგვიხდა გაბტომ-გამობტომა და, როგორც იყო, შევედით „კოცხალ“ ოთახში. ბუხართან, იატაკზე, შემოსხდომოდნენ ტაფას გათხუპნილი ბავშვები, —ორი სულ ტიტველი და ორიც პერანგის ნაშთებით მხოლოდ ყელზე და ზურგზე, —შემოსხდომოდნენ და ილოკავდნენ თითებს. აქვე იჯდა ფეხშიშველი ახალგაზნდა ქალი და თითით აქმევდა ტაფიდან სულ პატარას.

— მოითმინეთ და ახლავე მოვა გიგო, —ჩაილაპარაკა ქალმა და მიგვითითა ჩამოემჯდარიყავით ტახტზე. ბავშვებს დაავიწყდათ ყველაფერი და დაგვიწყეს ყურება. ერთმა უპერანგომ, რომელსაც ნახევარი ცხვირზე დაეტოვებია, რაც თითით აელო, ენაც კი გამომიყო.

— აი მე... შენ არ მოჩემ, —შემახარბა პატარამ და მიჩვენა თითის წვერზე ფელამუში.

ორი ტახტი ქუქყიანი ლოგინით, პატარა მეგიდა, სამი დასაჯდომ-გავარდნილი სკამი, თარო კუთხეში და კიდევ-ჩამოტეხილი კოკა —ეს იყო ოთახის მორთულობა. შპალერი აქ



გადარჩენილიყო, თუმცა ემზნეოდა ცელქი ხელების ქვეშევრდები რომა. გადაყირავებული კოკა და დაღვრილი წყალი, წაქცეული სკამები—აღბად ესეც ცელქი ხელების საქმე იყო. ცხვირ-და-ტვირთული ახლაც შეგდა სკამზე და „აჟუ“-ო—ყვირის, თანაც ლამობს ენის წვერით მისწვდეს ცხვირს.

შემოსავალ კარების პირდაპირ, ფანჯრის ზემოდ, ეკიდა ძველი პაგონები. მამამ მოაელო თვალი ოთახს, დაინახა პაგონები და მომმართა:—

— განთქმული კაცი იყო გიგოს მამა... თავადი—თავადია, და სხვაფრივაც ვარგებული იყო... აი ჩინები ხომ მისია, ქალბატონო?—მიუბრუნდა ქალს.

— ე-ჰე-ჰე... მისია, მისი. ცხოვებულმა თურმე წიგნი არ იცოდა, და ოცდა ათი პომპოლიკის უფროსი ქე ყოფილიყო მაინც... ხელმწიფესთან აბა რაა—ისე იყო, რომ ცხენით დაჰყობოდა—არ იშორებდა თურმე, ისე უყვარდა, —ისეთი ნაღვლით და თანაც სიამაყით სთქვა ქალმა, რომ მე ეჭვი შემეპარა მის ვინაობაზე: ჯერ ფეიქრობდი მოსამსახურის ოთახში შამოვედით—მეთქი და თვალი მეჭირა მეორე კარებსაკენ: იქით შეგულეობდა თავადის ბინა.

— იგი კი ყოფილა კაცი—ჩემი გიგო თვარა!—ამოიოხრა ქალმა, და ჩემს ექვსაც ბოლო მოელო: მაშ თავადისას ვყოფილვარ.

მომეტებული ყურადღებით ავხედ-დავხედე ყველაფერს და ვსკდები გულზე: არ იქნა და ვერ ველირსე დიდკაცურ ცხოვრებას!

ცოტა ხანი გავიდა და ბრახუნი მოგვესმა წინა ოთახიდან: ვილაც მოხტოდა—მოდიოდა; კარი გაიღო, და შემოვიდა კირში ამოსვრილი კაცი.

— გიგოს სიკოცხლე, —წამოდგა მამა და მიესალმა.

— აჰა... გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, —შეკვხედ გამოისროლა თავადმა და ჩამოჯდა სკამზე.

— აჟუ მინა, მამა, აჟუ მინა, —მიიძახა პატარა ქალმა და აცოცდა მუხლზე.



— აგერ მამა თქვენზე ელაპარაკობდით, — დაიწყო მამამხუჭუნა
 — აჰა... იყო კი, — სთქვა გიგომ და შეხედდა პოგონებს.

მე აწი რაღაი და აგერ, — ღმერთო, შენით, — შვილებს მოესწრება... ერთი თვეა, რაც მიესწერე პეტერბურგში და აჰა — დღეს თუ ხეალ — შოვა ამბავი.

— ნენა, ნენა, მე ფრეინებთან ვიქნები ხომ? — ჰკითხა უფროსმა ვაჟმა დიტომ, რომელიც დაპატრონებოდა ცარიელ ტაფას და ლოკავდა. აღბაღ, ეს იყო შშობლების იმედი.

— თქვენ რომ გააკელიოთ და გააკეთოთ საქმე-რაი მერე, — მოუქონა მამა ჩემმა თავი და ჩემზე მიუთითა — აგერაა, მოვიყვანეო.

გიგომ მოიხადა ჩამოფხატული რუსული ქუდი, ჩამოსვა ხელი შეკრეკილ შექალაქავებულ წვერზე, უცნაურად შეათამაშა ვიწრო თვალები და შემომხედა.

— აჰა... აგია? ჰო, ქე გითხარი — მარტო შენი ხათრი — მეთქი... აბა სხვას ვერ შემოუშვებ ოჯახში.

ერთი ჩემთვისაც ეკითხათ — მიხაროდა აქ დარჩენა, თუ არა!

როცა მამა წავიდა, შემომხევიენენ ბავშვები და დაიწყეს ტირილი — ზურგით გვატარე, „მოგვიზუკუტურეო“.

ვასეირნე ერთი და მეორე, მაგრამ ვინ დაგიჯერა.

— კილო შინა, კილო შინა, — ყვიროდნენ.

დიტო-პეტერბურგელია; ზურგით როდი დაკმაყოფილდა — კისერზე ჩამომაჯდა.

— კიი აწი, კმარა, — შემიბრაღა გიგომ: — შავის დრო კიი ხანია დაგძრა ხელიდან... თქვენ კი არა — მეც არ მომსწრები... გვარიშვილობის სისხლი ხომ შინც უღულს, ციცი? — ჩაულაპარაკა ცოლს, შემომხედა და ჩააწყაპუნა თვალები.

კარგათ ვერ გავიგე შენიშვნა, მაგრამ შინც დამტყველ ტანში, ბევრი აღარ მიფიქრია — დიტოზე ვიძიე შური: შევაპარე ხელი და ვუჩქმიტე ფეხზე. აღრიალდა და კისერზე ჯდომის და ფეხების ბარტყუნის მადაც დაეკარგა. ფოლაქზე გაპკრა და გაიკაწრა — მეთქი, განეაცხადე.



—რა უჭირდა ცოტა ხანს... დიდი საქმე იყო... ბუტებდა დედა და ეალერსებოდა შვილს.

— იგი შენს გვარიშვილობის სისხლს! — ვამბობდი გულში და რალაც გაუგებარი კმაყოფილებით ვუცქერდი დიტოს ცხარე ცრემლებს. თანაც მიკვირდა: პირველად დავიჭირე თავის-თავი ასეთ გრძობაში: მიხაროდა სხვისი ცრემლები!

— მამა-ცხოვნებულს ვითომ არ ეკადრება — ოქროს კაკლასავით ბავშვია, — მესმოდა დედის ბუტბუტი.

ყელში მებჯინებოდა სული, ძლივს ვიკავებდი თავს — არ დამეწყუა ყვირილი; მგონი ცრემლებიც კი მომადგა თვალზე: ისე შეურაცყოფილად მეჩვენა თავი.

ძველი ბინა და მჭადის ცხობა მერჩინა ახლა, მაგრამ გვიანლა იყო...

ნელ-ნელა შევეთვისე აქაურობასაც. გიგომ დაწვრილებით გამაცნო მისი ვინაობა, მოჰყვა ძველთაგან-ძველი დროიდან, ბოლოს გააღო ყუთი, ამოიღო მალალი წოდების მოწმობა და წამაკითხა.

— ჰო და ნუ გაუკვირდება კაცს ჩემი ცხოვრება... ბევრი ვითმინე, არ ამომიღია ხმა ჩემს უფლებებზე... მაგრამ აწი, — ღმერთო, შენით, — სხვაფერ წავა საქმე... აგერ მომივა ამბავი, და... აბა, კაცო, აგერ გოგოილა ბოშლაგიდას რომ ვადმოუკიდია ქვირითი და გამოუქიმავეს მალაზიები — იგი უნდა დამკინოდეს მე? მერე ვინაა იგი? ნაყმეგია ჩვენი, ნაყმეგი, — ხშირად ცხარობდა გიგო, დარბოდა ოთახში და თითოთ ემუქრებოდა ვილაკას.

— კი ახლა, და რალას იხეთქ გულს?... მამაშენის შვილი რომ ბოლოს მაინც უყურადღებოდ არ დარჩება, ხომ იცი აი... იმდენი ფრეინები და კონსოლები აბა ტყულია იქ? — ამშვიდებდა ცოლი.

— ნენა, მე როდის წამიყვანს ფრეინა? — ლაპარაკში ერეოდა დიტოც.

დღისით ქვის ოსტატ დამიტრი ნათათრალთან მუშაობდა

— კირს ზელდა და აწვდიდა. თავისუფალ დროს მეც ვეხმარებოდი ხოლმე.

— აიდა, აიდა, ქინიაზ... ზავუდა, ზავუდა შენი დრო, — ეხუმრებოდა დიმიტრი, როცა ვაოფლიანებული, ამოსვრილი გიგო მიუვდებდა ვედროს.

— მოიცა აგერ და ნახავ, თუ წავიდა, — მუქარით უბასუხებდა და მწარე ღიმილი უღრეჯდა სახეს.

კვირა-უქმებზე ყველაფერი იცვლებოდა — ოჯახი დიდკაცობას იგონებდა: სადილად მზადდებოდა ხორცეულობა, სულ რომ ფილტვ-ჯიგარი ყოფილიყო; გიგო მოედანზე მიდიოდა სასეირნოდ, საგარეოდ გამოწყობილი: შავი სერთუკი, გახამებული საყელო, ახალი ქუდი, გაკრიალებული ქოშები — ვერც კი იცნობდით, თითქმის მუხლებამდე დამოკლებული ვიწრო შარვალი რომ არ სცმოდა: — შარვალი შორიდან ააშკარავებდა პატრონის ვინაობას.

— ეჰე, მოდის ეგერ გიგოე კანქარაკუნაი... თვითონ ქე დაბერდა იმ შარვალში და ნახე აბა ჩანომავლობასაც თუ არ დაუტოვოს, — დასცინოდნენ წვრილი ვაჭრები.

რა უხაროდა ციკოს, როცა თავის გიგოს დაინახავდა ქუჩაში მიმავალს ან მომავალს დიდკაცებთან და გაიგონებდა იმის კისკისს და სხვანაირ ჩახველებას!

თვითონაც გადმოდგებოდა ხოლმე კიბეზე — სუფთად ჩაცმული, თმა-დაწნული, ფერ-უმარულით გამოფითქინებული... არ ეკადრებოდა თავადის ცოლობა თუ?

მხოლოდ ბავშვებისთვის არ თენდებოდა კარგი დღე: იყვნენ მუდამ ჩაკეტილ ოთახში — ხტომა და ბეწვის ხიდზე სიარული ჯერ არ შეეძლოთ, და ისე მზეზე გამოსვლა შეუძლებელი იყო.

— უი-ჰაი, — იღიმებოდა გიგო სადილზე: — ბევრი გვაკინა დღეს თავადმა ნიკომ... თანაც სასიხარულო ამბავი მომიტანა: მთელი პეტერბურხი დაუყენებია თურმე ფეხზე ჩემ თხოვნას... თვითონ ხენწიფე თმა-წვერს იგლეჯდა და ჯავრობდა —



რატომ არ გამაგებინეთ, ჩემი მიხედვის შვილი თუ ასე დედასთან
 ცირებულაო, — ნიკოს მისი თვალთ დაენახა აი.

ან ასე ახარებდა ცოლს:

— ფრენა კატოს მოუწერია — გიგოს თხოვნამ მთელი
 სასახლე აატირა... დედოფალი საჩუქარს ამზადებს — ოქროს
 ძაფით იკერება ძვირფასი საცმელებიო.

ან ასე:

— მთავარ კონსოლს უბრძანეს თურმე — წადი და გი-
 გე ყველაფერი... დააკმაყოფილე, მამა-პაპისეული მიწაც უკ-
 ლებად დაუბრუნეო.

და ყველა ამის შედეგი იყო სიხარული და იმედი, თით-
 ქო გახუნებული პოგონებიც ამბობდნენ — გიხაროდესთ: ჩვენ
 ვართ ყველაფრის თავდებო.

— აგერ, — ღმერთო, შენით, — პირდაპირა ამბავი მომივა
 და მაშინ... მაინც იმისთანა ადოკატს დავაწერიე — რაი მერე
 აატიროს... ქვას გახეთქს, — ამბობდა გიგო და ეხუმრებოდა
 ცოლს:

— როცა გლეხის გოგო იყავი, სოფლის გომბიე — მაშინ-
 ნაც არ სტიროდნენ შენდა პეტერბურხის დედოფლები!

ცოლიც, თავის მხრით, დასძენდა რამეს სოფლელების
 დასამცირებლად და — ისევ სიცილი, იმედი და სიხარული.

თუმცა მწყენდა სოფლის „გომბიებზე“ ლაპარაკი, მაგრამ
 მაინც ვხარობდი იმათი სიხარულით. საეჭვოდ მქონდა მეფის
 თმა-წვერის გლეჯა — გამოუქროლებს კეთილი ვინმე. „ფერინა“
 და გააბედნიერებს-მეთქი, — მეგონა და ვფიქრობდი:

— ნეტავი ჩვენც გვეყოლოდა ვინმე „კომპოლიცების“
 უფროსი — მაშინ ჩვენც ვიქნებოდით „ფერინების“ მოლო-
 დინში.

ახლა კი მამა იმის შიშია — როდის წამართმევს მხარკე
 საწინდარს და ფოსტის — ფულშიო.

ვთქვი სახლში — ასე და ასე ყოფილა, ასე მოელის გი-
 გო — მეთქი.

— უი, შავ, — გადიხარხარა ბიძა — ჩემმა, რომელიც
 შამზე დაეპატიებია მამას: — იმ ხრიკიანს კეკუა აქვს მოკლე,
 თვარა ხმელი კული აქედან პეტერბუხს კიდევ წააცილებს...
 ვინც კანუოიში იყო, ყველაზე რომ წვერი ეგლიჯა, აწი პე-
 ტერბუხში ერთი ღერი ბეწვი არ შერჩებოდა არავის.

— აბა ერთი ოქროს პერანგი შენც კი მოგიწიოს ეგე-
 ბა, — დამცინეს ღებმა.

სამი თვე არც კი გასულა, და მე ახალ ბინაზე ვიყავი...

გაბრიელ გოგუაძე.

(შემდეგი იქნება)





ბუღბუღთ ხელმწიფის ასული

(ხალხური ზღაპარი).

XI



დაბნო ახლა შორს დარჩათ,
ველნიც ვადასქრეს ბლომადა,
ნეტა თუ სატრფო მეფის ძის
ლირდა ამდენ ხნის ომადა?
აგერ, მთის წვერით დაეშენენ,
ჰხედებიან შამშის უბესა,
მის იქით ციხეს ზედავენ,
მის გადაყვანილ ზღუდესა.

აქ ქონდრის ხალხი სცხოვრობენ,
არ უჩანთ ია, ვარდია,
არც სინი, ვარსველავთ ტაბაკი,
არც მზის სხივთ ოქროს ბადია.
ბნელში სცხოვრობენ, ყინულზე
არკობენ რკინის პალოსა,
ვეშაპნი ჰხოხვენ მუცლითა,
გველნი უფლიან კალოსა.
აგერ სსახლეც! შესდექით,
არ დაუჯერებთ თვალებსა,
სწორედ სოროა, კლდის პირით



მოჭრილი გრძელი ხერელია,
 ხავსის კედლებზე ოცავენ
 ჯოჯო, ხელიკი და გველია,
 იქ მორიელი შხამს უშვებს,
 ნიანგიც კარხს მცველია.

„აქ სად მოვსულვართ? რაღა ვქნათ?“
 ჰკითხავენ თავსა მგზავრები.
 შევხედოთ, მღვიმის გადასწრივ
 გაიღო შუა კარები.
 გამოჩნდა მეფე, რა მეფე!
 წარმტაცი თვალად-ტანადა!
 ისემც თქვენს მტერს და დუმშანსა,
 რაც ის არ ღირდა ნახვადა.
 მობლუნძულს, დახავსებულსა
 წვერი მოეშვა გრძელადა,
 ოთხჯერ წელზედა მოქნილი
 მებუთე სთრევედა გველადა.
 მეფის ძემ შეილდზე იტაცა:
 „ვესერი“, ნუ ხარო ხელიო,
 ეს ჯადოსნური წრე არის,
 საქმე გვეჭირს მეტად ძნელიო!“
 ასე შენიშნა ვეზირმა,
 შემდეგ მიმართა მოხუცსა,
 უცნაურს, როგორც ტყის მეფეს,
 საიდუმლობით მოცულსა.
 უამბო ყველა მიზეზი,
 რად მოუფლიათ მთა-ბარი.
 რად მიატოვეს სამშობლო,
 ან საყვარელი სახლ-კარი.
 „ჰო და“, დასძინა: „იქნებ შენ
 მოგეკრას სადმე ყურიო,
 ვინაა ბუღბუღოთ ხელმწიფე,
 რა სახის, სადაურიო!“



მოხუცი უცხოთ თბრობის დროს
 ფიქრს მისცემოდა შიშვესა;
 ნელის თვლით ათამაშებდა
 ძვირფას სადაფის შიშვეებსა;
 მეფის ძეც მიმქრალ თვალეებით
 ჰგვანდა ყრმას განაცხევებსა,
 ნალელით ჰმოსავდა ფარულად
 დამკენარი გულის სიმებსა.
 „ეჰ, შვილო, ბევრი ვიცოცხლე,
 იქნება ბევრიც მიძვესო,
 მაგრამ არ ვიცი, თქვენ მადღევთ
 საცნობელს მეტად შიშვესო.
 ბულბულთ ხელმწიფის სახელი
 ჯერ არსად გამიგონია,
 რა ვიცი—იქნებ სიბერემ
 მომტაცა ხსოვნის გონია.
 მაგრამ გამაგრდით, მით მაინც
 ნუ გაიტეხავთ გულსაო:
 ღმერთი არ ჰკარგავს თავის ქმნილს,
 ის მოგვევრით სიხარულსაო:
 მხოლოდ რა ვიცი, მას გეტყვით:
 წახვალთ დასავლეთ მხარესა,
 ცხრა მთას გადივლით, დაჰკარგავთ
 ცხრა თვეს ცხრა კვირა—ღამესა.
 შემდეგ დაგხედებათ მინდორი,
 იქ სდგას ალვის ხე ღიღიო,
 ბუდე აქვს არწივს ძლიერსა,
 მაგრამ გქონდეთ კი რიდიო.
 თუ თქვენ იმ არწივს დაიპყრობთ,
 ის გეტყვით სიმართლესაო,
 ბნელიდან მალე იხილავთ
 გზის მნათობ სინათლესაო.
 მაგრამ გზად მხეცთა გროვამა

რომ არ მოგავოთ ავიო,
 აპათ ბეჭედი, ამითი
 დაიფარევით თავიო.
 აჩვენეთ — დაგიცხრებიან,
 გზას გასწავლიან ძმურადო,
 ახლა მშვიდობით, ამას ვთხოვით,
 ნუ მომიხსენებთ მტრულადო.

XII

წამოდგა სწრაფად მეფის ძე:
 უთხრა ბრძენს: „წამო ჩქარაო!
 ან ის დავიპყროთ, ან არა
 სიკოცხლე ჩემი ჩაქარაო.
 ვერ შემაკავოს ვერას დროს
 ვერა სიკვდილის ხმაღმაო,
 დაე — ცეცხლს ცეცხლი მოედოს,
 დამწვას ქარიშხლის აღმაო“.
 თავში წაიშენს მუშტებსა,
 ველარას ხდება ბრძენია:
 ფიალას აქცევს: „ვაჰ, ბედო,
 რად მაქვს სიკოცხლე ძნელია!
 ბარემ ლა მომკალ, არ ძალმიძს
 ამდენი ჭირის ატანა.
 რად მინდა მჭრალი სიკოცხლე,
 ვიყო ეული, სატანა.
 ვაგლახ, რა ძნელი ყოფილა
 იმედის ქროლევა ზღრუბელზე,
 ძნელად აცისკრდეს, რა ერთი
 გაჰქრეს ჩვენს ბედის ღრუბელზე.
 მოსკდება ცრემლი, წარგვიღებს
 უცხო ზღვის მძაფრი ზვირთია,
 სიკოცხლე ჩვენი იმ დღიდან



რჩება ვით მეტი ტვირთია.
 სჯობს მტერსა ათად ებრძოდე,
 ათასჯერ მომდგარს კარზედა,
 ვიდრე ლოდინით სულს ლევდე,
 ხელი გავიღო ხმალზედა.
 არც შორეული, არც ახლო,
 მხოლოდ ეჭვი და ფიქრია,
 ლოდინი, მწარე ლოდინი,
 მსუსხავი თოვლის ფიფქია!
 საღეთო კოცონის ალი მწეავს,
 რა ვუყო დაჭრილს სულსაო,
 დაინგრეს ოქროს ტაძარი,
 ახლა სიცოცხლეც მძულსაო.
 შერცხვეს ტრფობისა მახვილი,
 თუ რომ დაჭრილზე იკლისო;
 ნეტავი ერთხელ მელირსოს
 შრიალი ნელი ისლისო.
 სევდამ დაძვარა, დამწეარ სულს
 მოსდო პირბადე ნისლისო!
 მშვიდობით ყველაე, მეფის ძე
 ეულად მთა-ბარს ივლისო!“
 მაგრამ ვეზირი ამხნევებს:
 „ნუ კვნესი, გამახარეო;
 საცა გამოგვიჩნდება
 ნანატრი ჩვენი მხარეო.
 წუხელის ვნახე სიზმარი,
 სატრფო ვიღოდა ნათევი,
 თავთავთ გვირგვინით ოქროსფრად
 ეფინებოდა ნათელი.
 როს იცინოდა, ბაგიდან
 სკვიოდა ყვავილთ სურნელი;
 და გიძახოდა: „ისუნთქე,
 ვიეი ნუ ხარო, სულელი!“

მაშ რაღას ნაღვლობ? მის ვნახავთ,
 ქორწილს გადვიხდით დიდსაო,
 ახლა ცრემლს ნუ ჰღვრი—ეგრემცა
 გიცოცხლოს, ვინც რომ გცდისაო!“
 ცრემლი მოწმინდა. ფარ-ხმალი
 რა აიკიდეს მხარზედა,
 კვლავ აჩქარებით დაეშვნენ
 ორნიც ნაჩვენებ გზაზედა.

XIII

ბევრი იარეს, თუ ცოტა,
 განვლეს შარა და შთანია,
 გზად კვლავ ქაობი ჰხედებოდათ,
 გარდღეულ ღრეთა კირია.
 ბევრგან ნიანგნი სკურავდნენ,
 ლომნი ჰლესავდნენ კბილებსა,
 ჯოჯონი შთანთქმის უქადდნენ
 ბედით განწირულს შვილებსა.
 მაგრამ ვეზირი ბაასით
 მის უყურებდა წყრომასა,
 მოხუცის ლაღის ბეჭედიც
 უადვილებდა შრომასა.
 ნაირ-ნაირსა სამეფოს
 არა აქვს დასასრულია,
 განცდა განცდას სძლევეს, როგორც რომ
 ტანჯვის შავბნელი ხნულია.
 შეხვდათ ფერიათ ქვეყანაც,
 გაშლილი ოქროს ყანადა,
 მთვარე მაყრულსა იმღერდა,
 გუშავი ჰყავდა მაყრალა.
 აგერ გამოჩნდა მინდორიც,
 ალვის ხე მწვანე საბითა,



ორთავეს ღებნით იხმობდა,
 რაღაც ჯადოსნურ მახითა.
 მივიდნენ; შეხეთ სასწაულს!
 ხე ეს სწვდებოდა წვერითა;
 იქ ბუღე ჰქონდა არწივსა,
 დაბმული თლილის წნელითა.
 „რა ვუყოთ, როგორ ავიდეთ,
 ბუღეს ვით ავწვდეთ ხელითო,
 კიბის საფეხურს ისევ თუ
 თვით გავიკეთებთ ხმლებითო!“
 მოიხსნეს სწრაფად ფარ-ხმალი,
 დაიწყეს ქედვა ალვისა,
 ხმლის მოქნევაზე ითლებდა
 საფეხურები ქარვისა.
 თან ზემოდ-ზემოდ იწვევენ,
 აგერ სწვდებიან ბუღესა,
 მართეების დასაპყრობადა
 იხსნიან სწრაფად უბესა.
 ასწვდნენ კიდევაც, მაგრამ ცამ
 წამოიგრგვინა შავადა,
 დაუშვა სეტყვა და მებნი,
 დღემ პირი უყო ავადა.
 ლახტს ლახტზე სტყორცნის ცის ელვა,
 ჰმუსრავს არე და მარესა,
 ჰვესკნელში ცეცხლი თან მიაქვს
 განრისხებულსა მარესა.
 ამ დროს გამოჩნდა ვეშაპი,
 კუპრის-ფრთიანა ღრუბლითა.
 ბუღისკენ ასავსავებდა
 ენას ცეცხლმფრქვევი შუბითა.
 ქეჩო-აშლილსა, შმაგ ფრთოსანს
 გაჰქონდა თვალთა ბრიალი,
 დედამიწისა არყვედა



ბულ-კორიანტლის გრიალი“.
 „მარჯვეთ, მეფის ძევ,—სთქვა ბრძენმა:
 „ესაა, დავილუპეთო,
 თუ რომ ისარი დროზედვე
 შიგ გულში არა ვტყუორცნეთო!“
 და აჰა, მართლაც, შეილდს მოსხლტა
 მკვეთრი, ორპირი ისარი,
 ძირს წამოვიდა ვეშაპი,
 კივის, ვით მფრთხალი ციკარი.
 შეიტრიალა ჰაერში
 სულშმაგი გაბრძოლებითა,
 მოუშვა ცეცხლის ქარბუქი
 მწივერმა გაცოფებითა.
 მაგრამ მათ აღარ აცალეს
 მოკრება ნაწრეტ ღონისა.
 მძლავრი იძლევის, თუ მის წინ
 ილაშქრებს ხერხი ღონისა.
 სტყორცნეს მეორედ, მესამედ,
 ხმა ჩაუწყვიტეს გესლიანს,
 ფრთებ მომსხერეულსა მოსწყვეტენ
 ნესტარს შხამსა და გესლიანს.

XIV

რა დაამარცხეს ვეშაპი,
 ცა მოიწმინდა კვალადა,
 ღრუბელი ქარმა გაჰფანტა
 მიმქრალ ზოლ-ზოლა კვამლადა.
 გმირებმაც ასელა განაგრძეს,
 ხელით სწვდებიან ბუდესა,
 მაგრამ ბარტყებმა იყნოსეს,
 ფბიზლად სკქვიტავენ უურებსა.
 დააღეს პირი, ეგონათ,

საზრდო მოკვჩაენა დედამა,
 თითქოს, გაეკლდა ქუღბედი,
 ფრთები გაშალა სევდამა.
 ვეზირი ხელსა აუქნევს,
 მიჰმართავს ბარტყებს ტკბილადა:
 „ნუ თუ გემტრობთ მხოლოდ იმიტომ,
 რომ მოველთ ძილის პირადა?
 გადაიხედეთ—ძირს ჰგდია
 თქვენი მოძულე მტერიო,
 ველარას გავნებთ, ქარს მიიქვს
 მისი სისხლი და მტვერიო.“
 გადაიხედეს ბარტყებმა,
 ნახეს ვეშაპი სახარი,
 გული გაუსკდათ, ეგონათ—
 მიწამ იწყუო ზანზარი.
 მიხედნენ, თუ რასაც ნიშნაედა
 მრისხანე ცეცხლის ქარია,
 ღმერთს მადლი უძღვნეს, რომ დროზე
 შეესწროთ კარგი ფარია.
 ამასობაში გამოჩნდა
 ნიშანი დედის მოსვლისა,
 წამოფაცურდნენ მართვები,
 იწყეს დაფარვა ორისა.
 „მოდით, აჩქარდით: ფრთების ქვეშ
 ორთავე შეგვეფარეთო,
 რიგი ჩვენზეა, მხსნელთ ხსნილნი
 მხსნელებად შეგვეყარეთო.
 ვერც კი მოასწრეს მადლობა,
 ფრთების ქვეშ შეჰყვეს თავია,
 გამოჩნდა კიდევ არწივი,
 როგორც უდაბნოს ქარია.
 ვით შვილდს დამსხლტარი ისარი
 დაერქო ბუღის პირასა,

ქარმა წასძლია, ალვიდან
 მყის გადაეშვა ყირასა.
 უკუ მოსწია ბოლო ფრთა,
 ვით საქე მსუბუქ ნაეისა,
 ელვის სისწრაფით ხელთ იგღო
 საბელი ყველა წამისა.
 არ დააყოვნა, პირაღმა
 ბუდისკენ შეიგრიალა,
 გამოცემული თვალებით
 ბარტყათვის შეიფთხრიალა.
 არა სჯეროდა, თავს გრძნობდა
 როგორც სიზმარში მყოფია,
 შეიღებს ფრთა გადააფარა,
 ლელვისგან განაყოფია.
 თურმე ნუ იტყვიტ, მთელ წლოებით
 თავს ატყდებოდა ზარია,
 არ იქმნა, ველარ დაეხშო
 უბედობისა კარია.
 ბარტყებს დასჩეკდა. მაგრამ როს
 ფრთას გააეღებდა ღრუბელსა,
 მყის ქირი მოადგებოდა
 მის ბუდის კარის ზღრუბელსა.
 ვიდრე არწივი ბარტყათვის
 საზრდოს სძებნიდა მთებშია,
 ხმა გაისმოდა გრგვინვისა,
 სადღაც შორეულ მთებშია.
 მოფრინდებოდა ვეშაპი,
 არწივის დიდი მტერია,
 ბარტყებს უჭამდა, მიჰქონდა
 მათ გულის სისხლის კვერია.
 გაცოფებული არწივიც
 ქარიშხლის ფრთებსა ისხავდა,
 მსურდა გაეგო—მოსისხლე



ქურდ მტრად იმ თავით ვინ ჰყავდა,
 მაგრამ მოსვლისას ყოველთვის
 ბარტყები აღარ ჰხედებოდა,
 ცას საყვედურსა სტყორცნიდა,
 ბოღმა-ნადევლით კვდებოდა.
 დღეს სულ პირველად იხილა
 შვილები თავის ბუდესა,
 მიტომ გაოცდა, დაიბნა,
 სცურავდა კრემლის გუბესა.

XV

ბარტყები ფრთებით სკდილობენ
 თვის მხსნელთა გადამავალსა.
 რიგი მოითხოვს, თვით მტერსაც
 ვაძლევედეთ ხშირად ჩვენს ხმალსა.
 მაგრამ აგერა არწივმა
 რაღაც იყნოსა ცხარია,
 წამოიწივლა, კლანიჭები
 მოჰზიდა, გაჰკრა ფრთანი.
 „ადამიანის სუნსა ვგრძნობ,
 აქ არის ჩვენი მტერიო,
 ჩემი სიცოცხლის ჩამქრობი,
 სულის მომშხამი მწერიო.“
 მაგრამ ბარტყები წყნარადა
 უმღერდნენ დედას ნანასა:
 „რაზე ანჩხლდები, დედილო,
 ვისთვის ლესავო დანასა!“
 —„მტერია, მტერი,“ უთხრა მან.
 „არა, დედილო, სცდებიო,
 მტერი ვერ გვიმტრობს, ის მოკვდა,
 მოყვარედ გვეყვანან სხვებიო.“
 —ვინ სხვები?—დედამ იტკიცა,

„მხსნელნი შენ, შეილთა დღისაო,
ნუ თუ ვერ ამზნევ, თუ თვით ცა
ვით იბანს შეგებით პირსაო!

გადიხედე, ძირს ჰგდია
ჩვენი მოსისხლე მტერიო,
ჩვენ კი ცამ მხსნელნი მოგვეგვარა,
მისი ძვლებისა მტვერიო!“

ძირს გადიხედა არწივმა,
შენიშნა რაღაც ლეშია,
ისე საზარი, მახინჯი
სისხლს თან მიჰქონდა ხევშია.

—რა ამბავია, ვინ მოჰკლა?
ვინ არის თქვინი მხსნელიო?
ოჰ, ვფიცავ, ვუძმო, მეც ვიყო
მათი ქუდბედის მცველიო.
გული მოიცეს ბარტყებმა,
სწამთ დედის სიტყვა მტკიცია,
თუ ღმერთი ღმერთობს, ცა ცაობს,
არწივის ფიციც ფიცია.

ახადეს ფრთებსა. მგზავრებმაც
არწივს მიუძღვნეს კებანი.
ცა გაინაბა. შორს ტყეში
გაისმა ბულბულთ ყეფანი.
გაოცებული არწივი
ალარ უჯერებს თვალებსა,
ენა სდუმს, მუნჯად შეჰყურებს
უცნაურს ამ ჩვენს მგზავრებსა.
ბოლოს იკითხა: „მაშ თქვენ ხართ
მხსნელნი მგლოვარე დედისო.


ოჰ, თუ ოდესმე გიმტყუნოთ,
დღე შქონდეს დაქრილ გედისო,
ახლა ვეზირმა მოუთხრო
მემკვიდრის მწარე ბედია,



საიდან როგორ მოვიდნენ,
 რად მოვლეს მთა და ქელია.
 ან ვით მოაგნეს ამ ადგილს,
 რა ტანჯვითა და რიღითა,
 თუ შველას როგორ ელიან
 მისგან, ვით მტკიცე ხიდითა...
 ფრთებ-დაშვებული არწივი
 თავზე ივლებდა გლახ ხელსა,
 წარბი შეჭკვროდა ლაღად მსრბოლს,
 ათასი ქირის მნახველსა.
 თავს წაიყარა ნაცარი;
 „ველარ გადვიბდი ვალსაო,
 სჩანს, თქვენთან მოვძულეებივარ
 ამ ჩემს ბედს—მყეფავ ძალსაო.
 მაგრამ გავეზნევედეთ, ერთ ძალით
 ვებეთქოთ ცათა კიდესო,
 იქნებ მივაგნოთ უფსკრულთა
 გადასაკიდელ კიბესო.“
 შემდეგ მოუხმო ვახშმადა,
 ვით ადათი და წესია,
 დილამდე ისე გაერთნენ,
 არც ერთს არ დაუკვნესია.
 ბოლოს მოღლილნი მოეშვნენ,
 მოჰხუკეს ორთავ თვალია,
 გულგატეხილი მეფის ძე
 სიზმართ ბადეშიც მფრთხალია.

დ. კასრაძე.


(შემდეგი იქნება).





უცნაური ყვავილი.

თ ა ვ ი II.



ციუვის კუდის ამბავი.

სევ იმ კუთხეში, სადაც გუშინ ვიყავი, — სთქვა ავითმყოფმა. — ისევ იმ ადგილას ღობესთან, ნაკადულის პირას, ამასთანავე ვთხოვ, როგორც კი მიმიყვან, მაშინვე წახვიდე შინ.

— წავიდე? არ შემიძლია; გუშინაც მთელი დღე მარტო ყოფილხარ, როგორც ვილიამსმა გადმომცა, — უთხრა მომელელმა ქალმა. დონაღლის ნაზ ლოყებს აღმულმა გადაჰკრა.

— არა, მე მარტო არ ვიყავი, — გამოტყდა ის, — მე ვიპოვე ერთი საიდუმლოება; სწორედ რომ ესთქვა, საიდუმლოებამ თითონ მიპოვნა. რომ გამოგიტყდე, კარგად არც კი ვიცი, რანაირი საიდუმლოებაა.

— აი რატომ მოვლოდით ისე მოუთმენლად, თქვენ სეირნობის დროს. რა უყვით, როგორც არ უნდა იყოს თქვენი საიდუმლოება, მან მოგცათ საშუალება ისე მშვიდათ გძინებოდით ღამე, როგორც დიდი ხანია არ ვიძინიით. კეთილი, მე



მალე დაებრუნდები.—მართლაც კეთილმა ქალმა სწრაფად აღიჭრებინა მალლობი, შეჩერდა, დაუქნია დონალდს ხელი გამომშვიდების ნიშნად და მიიშალა.

ძალიან ცხელიდა, მაგრამ მალლობიდან მოჰქროდა გრილი სიო და თან მოჰქონდა ნაზი სუნი ბალახებისა იმ ადგილებიდან, საითაც დონალდი იყურებოდა და არას დროს კი არა ყოფილა. მიწის სუნი უერთდებოდა ტყის სუნს.

ემაწვილი წინ გადაიხარა, რომ უფრო კარგად დაენახა შზისგან გასხივოსნებული ნაკადული, რომელიც იქვე, დონალდისაგან რამდენიმე ნაბიჯზე, ბალახებში იმალებოდა. როდესაც სიო შეარხევდა ხის ნაზს ტოტებს, დონალდი ხედავდა მინდვრის ნაზ ყვავილებს და შწვანე გვიშრის ბუჩქებს ნაკადულის ახლომახლო. ხარბად ყნოსავდა ამ მშვენიერ კუთხის სუფთა და სურნელოვან ჰაერს.

ირგვლივ გამეფებული იყო ღრმა და განსაკუთრებული სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ხან-და-ხან ოქროს ფერი კრაზანას ბზუილი არღვევდა. კრაზანა ერთხანს დონალდს დასტრიალებდა თავს, მერე კი გადაფრინდა მალლობის იქით, საითაც მიისწრაფოდა ემაწვილი მთელი თავისი არსებით და სადაც მას არ შეეძლო წასვლა ავთამყოფობის გამო. მაგრამ ამ სურჭილმა მალე გაუარა დონალდს და ისევ ჩვეულებრივმა ტკივილმა და დალილობამ მოიკვა. ოხვრით მიეყრდნო სავარძლის ზურგს, მაგრამ ისევ უცებ წამოიწია და შეკრთა. მან გაიგონა ნელი ხმა-ურობა და სიამოვნება გამოიხატა მის სახეზე. მაშინვე მიხვდა, რომ მისი ახალი მეგობარი მოდიოდა. თუმცა ღობის იქით ისეთი ვერაფერი შეაშინია,—ვერც თავი, ვერც ფეხები და ვერც სხვა რამ, რაც შესაძლებელი იყო, რომ მის ამხანაგს ჰკუთვნებოდა. დონალდი დაბნეული იტკირებოდა აქეთ-იქით და ბოლოს შენიშნა ღობის ძირში რაღაც ბანჯგვლიანი კული, რომელიც სწრაფად, შეუჩერებლივ ტრიალებდა.

დონალდი ხშირად ადევნებდა თვალს ციყვებს და არა ერთხელ შეუნიშნავს, როგორი სისწრაფით დაბტოდნენ ისინი ტოტიდან ტოტზე, ხიდან-ხეზე, მაგრამ არას დროს არ შეუნიშ-



ქართული
საბჭოთაო
წიგნობა

ნავს, რომ რომელსამე ციყვს ასეთი სისწრაფით ეტრიალებინოს კული. სანამ ყმაწვილი ჩუმად აღევნებდა თვალს ამ მოვლენას, ლობის იქიდან მოესმა ხმა:

რომ შემძლებოდა მე ციყვის წიგნის სწავლება ¹⁾,
მათ ეკნებოდათ ჩემი რიდი, ვერ იქმდნენ ავსა;
ხშირად ცელქებსა სახაზავით დაეაწყნარებდი,
სამაგალითოდ დაიქერდნენ ყველანი თავსა.

— **ოპო, ბიჭუნა**, შენა ხარ! მე მაშინვე მივხვდი, რომ შენ იყავი, — შესძახა აღელვებულმა დონალდმა. — მოდი ჩქარა აქ, ძალიან მინდა შენი ნახვა.

სწრაფად, როგორც ციყვი, ამოძვრა ყმაწვილი ლობეზე, მიეყრდნო ხეს და დაიწყო ციყვის კულის ხელში მარდათ ტრიალი.

— მაშ მიხვდი, რომ მე ვიყავი? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— მაშინვე მივხვდი, თუ შეიძლება გაიმეორე, ციყვებზე რომ ლექსს ამბობდი, კარგად ვერ გაევიგონე.
ყმაწვილმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა, მე ერთსა და იმავეს ორჯერ არასდროს არ ვიმეორებ. ორჯერ გამეორება ზღაპრის თავიდან დაწყებაზე უარესია. რომ გამეიმეორო მეორედ, მე დარწმუნებული ვარ ისე კი არ გამოვა, როგორც პირველად, არამედ სულსხვანაირად, — მაგალითად, ასე:

„რომ ვყოფილიყავ კულ-ბამბურა ცელქი ბაქია,
ტყისკენ გავსწევდი ყოველ დილით, ჩუმად, ფარულად
და იქ უთვალავ მუხის რკოს მოეაგროვებდი,
შევექცეოდი ნაყოფიერ ხილს სხვების მალულად.
ასეთი არის ჩვენი ჯიშის ზნე-ჩვეულება,
სულ იქ ფუსფუსებს, საკნატუნო რომ ეგულება.

— რა სასაცილო ლექსია! კიდევ გაიმეორე.
უცნაურმა ყმაწვილმა წყენით შეხედა.

¹⁾ ლექსები ვარლამ რუხაძისაა.



— არა, — სთქვა მან თავის ქნევით, — ერთხელ ხარი და გეყოფა. ამ კულზე შემოძლია გრძელი ამბავი გიამბო, მაგრამ ძლიერ სამწუხარო ამბავი კი არის. ეს ამბავი ხან-და-ხან ძლიერ მტანჯავს. აი, საქმე როგორ იყო: ერთხელ როდესაც მე უსაქმოდ დავებეტებოდი, სარდაფში ვიპოვნე ძველი მახე და საშინელი სისულელე ჩავიდინე! წავიღე ეს მახე და დაედგი აი, ამ აღმართზე, მე თვითონ კი წავიდე სახლში და სულ გადამავიწყდა მახეც და პატარა ნადირებიც. მხოლოდ სამი თუ ოთხი დღის შემდეგ გამახსენდა, გავიქეცი სანახავად და მახეში ეს კული ვნახე. ბებერი ციყვი მოჰყოლოდა კულით მახეში და როცა გაქეულა, კული შიგ დარჩენია.

— საწყალი ცხოველი! რა გგონია: ტყვილსა გრძნობდა ციყვი?

— ჰმ-მ! ვშიშობ, რომ კი! ცხოველები ძლიერ მგრძნობიერები არიან. ვივისექცია*) იყო პირველი მიზეზი, რომელმაც მე და მამა ერთმანეთს დაგვაშორა. მაგრამ რა სისულელეს ვლაპარაკობ.

— არა, არა, სისულელე არ გითქვამს! განაგრძე თუ შეიძლება! ვინ არის შენი მამა? რას ლაპარაკობდი ვივი... რას ნიშნავს ეს გრძელი სიტყვა?

— მე გგონია, ჩვენ ციყვის კულზე ვლაპარაკობდით, მე დავიწყე იმაზე ლაპარაკი, რომ ძალიან მინდოდა მენახა ის პატარა ციყვი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს კული, ბოდიში მომეხადა და მეთქვა, რომ მე ძლიერ ვწუხვარ ამ უბედურ შემთხვევაზე და დაეუბრუნებდი მას ამ კულს, რომ შეიძლებოდა. შენ წარმოიდგინე — რამდენ დაცინვას გადაიტანდა ის სხვა ციყვებისაგან უკულობის გამო! მე სანაძლეოს ვდებ — ის იძულებული გახდებოდა სადმე მივარდნილ ადგილას დამალულიყო, რომ მოშორებოდა თავის ამხანაგების დაცინვას. შენ როგორ ფიქრობ?

დოლანდის სახემ დინჯი გამომეტყველება მიიღო.

*) ცხოველების გაჭრა სამეცნიერო მიზნით. მთარგ.



— დიად, — სთქვა მან, — მეც ასე იფიქრობ, რომ ასე მოიქცა, რადგანაც ის აღარ ჰგავდა სხვა ცოცხლებს. ყველა, ვინც ცოტათი მაინც არ ჰგავს სხვებს, უნდა მოშორდეს მათ. მე, მაგალითად, არა ვგვევარ სხვა ბავშვებს და ამიტომ ვცდილობ არ შევხდე მათ.

— აბა, რა სისულელია, პატარავ! შენ მგონი ისე სულელი არ ხარ, რომ ასე იფიქრო!

— განა ასეთი ფიქრი ჩემს სისულელეს ამტკიცებს?

— სისულელეს? დიად, მე სწორედ ასე ვთქვი. შენ გარშემო მუდამ ბავშვები უნდა იყვნენ; მაშინ შენ აღარ მოგინდება ბევრი რამის სწავლა, როცა ჩემი... როცა ექიმს ბურჩარდი მოგიჩინებს ფეხებს. აბა იფიქრე ამაზე. რამდენი წლისა ხარ?

— მერვე წელიწადში ვარ. მალე რვისა გავხდები—

— ხედავ, მე მგონია, შენ ისეთივე ჭკვიანი ხარ, როგორც მე, შეიძლება უფრო ჭკვიანიც. მოიცა, დონ! მხარზე ჭია მია გაზის. გინდა, პატარავ, რომ ჭია მია იყო?

— როგორ შეიძლება ბიჭი ჭია—მია იყოს—დონალდმა უნდობლად გაიღიმა.

— მერე რაა, — უპასუხა ყმაწვილმა, — განა არ შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ჭია—მიას ჰყავს პატარა შვილები?

— ამის შზგავსი მე ჯერ არა გამიგონია რა.

— მეც არ გამიგონია, მაგრამ განა არ შეიძლება წარმოიდგინო, რომ პატარა ჭია-მაიები, დედები, სხედან აივანზე მაგიდის ვარშემო და შესჩივიან ერთმანეთს იმაზე, თუ რა ღვთის რისხვია ასე ცელქი ვაჟი-შვილების ყოლა. არცაა გასაკვირი, რომ ისინი ასე შეწუხებული არიან! წარმოიდგინე ახლა შენ, რომ ეს პატარა ჭია-მაიები გაიზარდნენ დიდი ვაჭ-კაცები. ხა-ხა! წარმოიდგინე მხოლოდ, რომ შენ იქნები „პატარანი დონალდი ჭია-მია!“ სწორედ სასაცილო იქნება შენ სადარბაზო ბარათზე ეს-სიტყვები რომ დასწერო.

— ჭია-მაიებს სადარბაზო ბარათები არა აქვთ.

— როგორ თუ არა აქვთ! იმათ უეჭველად უნდა ჰქონდეთ ბარათები, თუ სურთ, რომ ყველამ პატივი სცეს. მე კი პირა-



დად ვირზევედი „რობერტ ჰარისონ ოქროს კრაზანაში“ ჰყვებოდა. ქია-მაიად ყოფნა არ მინდა.

დონალდი ნაღვლიანად გაიკვირებოდა სივრცეში თავის ნაღვლიანი თვალებით.

— არ გაათავებ ზღაპარს თევზებზე, რომელნიც ცხოვრობდნენ მთეარის გზაზე? — ჰკითხა მან.

— არ შემიძლია, მე ერთი და იგივე ზღაპარი ორჯერ არას დროს არ მიამბია.

— არასოდეს არ ათავებ დაწყებულ ზღაპარს?

— არასოდეს! — ყმაწვილი მოემზადა წასასვლელად.

დონალდს უცებ რაღაც მოაგონდა და გაიკინა.

— ერთი ამბავი ბოლომდის კიდევ გაათავე, — სთქვა მან. ყმაწვილმა მოიხედა.

— ეგ რომელი ამბავი იყო? — ჰკითხა მან.

— ციყვის კუდის ამბავი, — უპასუხა დონალდმა.

— მე ის თავიდან არ დამიწყია, — მიუგო ყმაწვილმა და თან ლობებზე მიცოცავდა.

— როგორ თუ თავიდან არ დავიწყიაო?

ყმაწვილმა მოიხედა და სიცილით უთხრა:

— მე ხომ კუდიდან დავიწყე, კუდი კი ციყვის ბოლოა! ხომ მართალია?

თ ა ვ ი III.

გრძნეული მუხლუხა.

პატარა ავანტიურა ბიჭიკო ისე წყნარად იჯდა სავარძელში, რომ უცნაურ ყმაწვილს მძინარე ეგონა. თვალებ დახუჭული მიწოლილიყო ბაღიშებზე და ხელში მაგრა ჩაებლუჯა წერილი. როდესაც მზის სხივმა დაახწია თავი ხშირ ტოტებს და ბავშვის ნახ სახეს მოხედა, ყმაწვილმა მის ლოყაზე კაშკაშა ცრემლი შეამჩნია. პირველ ცრემლს მოჰყვა მეორე, მესამე,



მთელი ნაკადული ცრემლებისა მოსჩქევდა დონალდის ლოყებზე მიხუჭული თვალებიდან.

ყმაწვილი ერთხანს ყოყმანობდა. მერე მის ტუჩებს ამაყმა ღიმილმა გადაჰკრა. ჩუმათ, ფეხ-აკრეფით აიპარა მალლობზე, გადავიდა ლობეზე და ჩუმაღვე წამოიჩოქა ნაკადულის იქითა ნაპირზე. შემდეგ დაიწყო ნაზი და ლამაზი სიმღერის სტვენა, რომელიც ხან ჩიტის გალობას გავდა და ხან კი სალამურის ხმას.

დონალდი სწრაფად წამოიწია.

— განაგრძე, განაგრძე, — შეეხვეწა ის, როცა ყმაწვილს მოჰკრა თვალი. ყმაწვილი კი განგებ აქეთ-იქით იცქირებოდა, ვითომც დონალდს ვერა ხედავსო. ბოლოს კი დონალდს შეხედა, თითქოს არც კი იცოდა თუ ის იქ იყო.

— როგორ გაკვირვებული მიცქერი, განა არ იცოდი, რომ მე მუდამ აქა ვარ? — თავის მხრივ გაკვირვებით ჰკითხა დონალდმა.

პასუხის მაგიერ, ყმაწვილი წამოხტა და რაღაც უცნაური ცეკვა დაიწყო, თან სიმღერას მოჰყვა.

„მე უსტვენ მაშინ, როს არვინ არის,
 მიტომ რომ ვუსტვენ ჩემთვის საკუთრად.
 მე მეშინია, რომ ეკლის ბარდი
 ჩემ ნაზ გალობას აქცევს ნაკუწად.“

როდესაც გაათავა თავისი უაზრო სიმღერა, ერთი შეხტა და გადმოახტა ნაკადულს.

— შენ დღეს დააგვიანე, — შენიშნა დონალდმა.

— მგონია ცოტა კი. გაკვეთილებს ვსწავლობდი, თუმცა დარწმუნებული ვარ, სასწავლებელში დაბრუნების ნებას არავინ მომცემს.

უკანასკნელი სიტყვები ყმაწვილმა ისეთი შრისხანებით წარმოსთქვა, რომ შეშინებული დონალდი სავარძელში მიიკუნტა.

— განსაკუთრებით დღეს, შენი მოსვლა ძლიერ მინდოდა, — სთქვა დონალდმა საცოდავად. — დედა მწერს, რომ მას



არ შეუძლია აქეთ წამოსვლა. სამაგიეროდ, როცა დეულ საჩუქარს მომიტანს.

— ჩინებულია. ანაზღვეულის საჩუქრის მიღება კარგი საქმეა. მე ძლიან მიყვარს ასეთი საჩუქრების მიღება, შენა?

მაგრამ პატარა ბიჭიკო ყურს ვერ უგდებდა მის ლაპარაკს.

— ეს ძლიერ აღერსიანი და ნაზი წერილია, — სთქვა მან, — აჰა, წაიკითხე.

მაგრამ ემაწვილმა სწრაფად ხელი იქით წაიღო, თითქოს წერილმა დასწვაო.

— არა, — შეჰყვირა მან, — მადლობელი გახლავართ. ჩემთვის არავითარი წერილი არაა საჭირო. კარგი, კარგი, კმარა, ნუ მიცქერი ასე შეშინებული, პატარავ! მგონი შეგაშინე? იცი, საქმე იმაშია, რომ ყველა ჩემი უბედურება ერთი წერილის ბრალია, რომელიც, როგორც სასწაელებელში ჰგონიათ, მე წავი... მაგრამ არა ღირს ჩემ უბედურებაზე ლაპარაკი, ისევ შენზე ვილაპარაკოთ.

— მე მაინც და მაინც არ მაწუხებს ნამდვილი სევდა, — სთქვა დონალდმა და თან თავს იმაგრებდა. — მომაწოდე წერილი, მე წაიკითხავ. ეს წერილი თავის-თავად არ არის ნადვლიანი, მაგრამ როცა ვკითხულობ ტირილი მომდის.

ემაწვილმა მიაწოდა და ორთავემ ერთად დაიწყეს დედის აღერსით სავსე წერილის კითხვა.

მართლაც წერილი ისეთი იყო, როგორც დონალდმა სთქვა. მთელი წერილი ისეთი ნაზი და აღერსიანი სიტყვებით იყო დაწერილი, რომ უცნაურ ემაწვილს გულის სიღრმემდის სწვდებოდა. როცა წერილის კითხვა გაათავეს, ემაწვილი მიწაზე გულ-აღმა დაწვა და ამხანავს პირი აარიდა. მერე მუხლები მოკუნტა, ფეხი-ფეხზე გადასდო და მარჯვენა ფეხის ქნევას მოჰყვა. იმის ყვითელ ფეხსაცმელზე რაღაც მუხლოუბა მიცოცავდა.

— მომეცი აჰ, ვნახო, — შეჰყვირა ცნობის მოყვარეობით დონალდმა. — რა მშვენიერი მუხლოუბაა!

— ლამაზია, მაგრამ პატარა კია; მგონი გრძელ მუხლოუბაზე ოთხჯერ პატარა უნდა იყოს.



— რა გრძნეულ მუხლუხაზე?

— განა არ იცი? ის მუხლუხა, რომელიც პატარა ბიჭმა დაიჭირა და ჭიქის ქვეშ შესვა.

— ბიჭმა სად იპოვნა ის?

— პატარა ბიჭი მინდორზე მიდიოდა და გზაზე იპოვნა. ბიჭს ძლიერ უყვარდა სხვა და სხვა ნაირი ჭია-ლუგების ძებნა, პოულობდა, სვამდა მიწის ქოთნებში და ისეთი სიყვარულით უვლიდა, როგორც მოწითლო ჭიანჭველას.

— ფუ; როგორ შეიძლება წითელი ჭიანჭველის სიყვარული!

— ყმაწვილს მაინც ძალიან უყვარდა. საზოგადოთ ის ძლიერ სასაცილო ბავშვი იყო და ისეთი ცხოველებიც კი უყვარდა, რომლებიც მის შშობლებს და ყველა ნათესავეებს დასანახავადაც სძულდა. ყველაზე ძალიან კი ბიძია ფრიცს მუხლუხები ეჯავრებოდა. ამიტომ იყო, რომ ბიძიამ გადაუგდო.

— რა გადაუგდო?

— გრძნეული მუხლუხა?

— ოჰ, ბიჭიკო, სულ აღარაფერი მესმის? არ შეიძლება ისეთ ადგილიდან დაიწყო მაგ მუხლუხას ამბავი, რომ შემძლოს რამეს გაგება?

— რაშინა საქმე, პატარავ! განა ვერ მიხვდი, რომ ამ ამბავს შუადან გეუბნები. როდესაც ბიჭმა იპოვნა ის მსხვილი და პატარა ბეწვებით შემოსილი მუხლუხა, დრო არა ჰქონდა მის რიგიანად მოვლისა. ფაცა-ფუციტ მოარბენინა საკუქნაოდან ძველი ჭიქა და დაამწყვდია შიგ, რომ არსად გაპარულიყო.

— ვინ არ გაპარულიყო?

— გრძნეული მუხლუხა თურმე ის პაწაწინა ფერია იყო, წითელი წამოსასხამით, გამზდარი, შავგვრემანი, შავი თვალებით. თავზე პატარა თეთრი ქუდი ეხურა და წინსაფარიც ჰქონდა, როგორც ყველა გრძნეულებს აქვთ, მხოლოდ სიმაღლით ორი გოჯი მეტი არა იყო. იცი, დონაღდ, ის განგებ გადაიქცა მუხლუხად, რომ თავი შეექცია, ან შეიძლება სხვა რამე მიზეზის გულისთვის. მართლა, კინაღამ არ დამავიწდა ეს მოხდა სწორედ ჭიაკოკონობის დღეს. შენ ხომ იცი, რომ ამ დღეს ყველა



გრძნეულები და ავსულები დაჰქრიან ჰაერში წივილებს. ცოცხლებზე გადამჯდარნი. მათ შეუძლიათ გაიგონ შენი საცო-
 ლოს სახელი და ბევრი სხვა ამნაირი დიდ-მნიშვნელოვანი რა-
 მეები. თუმცა ბევრი გრძნეული სულ პატარაა, ფრჩხილის ოდენ-
 ნა, მაგრამ მათ ყველა დიდ პატივსა სცემს. ამიტომაც იყო,
 როცა ჩვენმა გრძნეულმა მუხლოუხამ დააკაკუნა თავის პატარა
 თითით ჭიშკარზე, ფრანკი (ასე ერქვა იმ პატარა ბიჭს) მაშინვე
 გაექანა მისკენ და მოწიწებით მოიხადა ქული.

— გამარჯობა შენი, ფრანკ; — მიესალმა გრძნეული. — ოჰ,
 ღმერთო ჩემო, როგორ დააგვიანე!

— დიახ, სასაუზმოდ წავედი, — უთხრა ფრანკმა და თა-
 ნაც გრძნობდა, რომ საჭირო იყო თავის მართლება.

— რასაკვირველია, იმაზე კი არ გიფიქრია, მქონდა თუ
 არა მეც საუზმე, — შენიშნა გრძნეულმა. — თქვენ, ვაჟები, ყვე-
 ლანი ასეთები ხართ.

— ამ წუთში მოგიმზადებთ რამეს და მოგართმევთ, — უთ-
 ხრა ფრანკმა. — ახლა სწორედ სადილობის დროა.

გრძნეულის თვალები ცეცხლივით აეთნენ.

— მომართმევ, მე? — ის ისე გაწიწმატდა, რომ თითის წვერ-
 ზედაც კი წამოიწია.

ფრანკი ალტაცებით შეჰყურებდა.

— ოჰ, — შეჰყვირა მან, — თქვენზე უკეთესი რამ მე ჯერ
 არასოდეს არა მქონია?

ამ სიტყვების გაგონებაზე გრძნეული სიბრაზით მთლად
 აცახცახდა.

— მქონიაო! — დაიწიელა მან წვრილი ხმით. — რამ გაფი-
 ქრებინა, ერთი მითხარი, რომ მე შენ გეკუთენი?!

ფრანკი გაშეშებული იდგა და ამიტომ ისევ მანვე განაგრძო:

— იცი თუ არა შენ, რომ მე შენზე ათასჯერ უფროსი
 ვარ! როგორ იფიქრე, რომ მე შენისთანა თაფხედი ბიჭის სათა-
 მაშო ვაგზდებოდი!

პატარა ბიჭმა შიშით სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა, გრძ-
 ნეულმა რომ ეს შენიშნა, კოტა დაშვილდა.



წვეტიან ქვას დაჰკრა მუხლი. როდესაც ფრანკმა იპოვნა, მისი პატარა ბორცვზე იჯდა და მუხლს იზელავდა. გრძნეული საშინლად განრისხდა ბიძია ფრიცის ასეთ ველურ საქციელზე და ღირსეულადაც დასაჯა.

— როგორ თუ დასაჯა? იკითხა დონალდმა.

— ამბობენ გრძნეულებს ძალიან უყვართ სამაგიეროს გადახდაო, და როდესაც ვინმე რამეს აწვებს მათ, ისინი სცდილობენ სამაგიეროდ გაცილებით მეტი ვნება მიაყენონ მას. ამიტომ ჩვენმა ფერიამ, სხვა გრძნეულებთან ერთად, (ისინი ხომ ბევრნი არიან, —ათასობით) მოიტანეს სწორედ ის პირიანი ქვა და დასდეს იმ გზაზე, სადაც ბიძია ფრიცი დადის ყოველ დღე თავისი ველოსიპედით. შემდეგ ყველა ფერიები მოებლაუქნენ ბორბლებს (რასაკვირველია, ბიძია ფრიცი მათ ვერ ხედავდა) და ველოსიპედი სწორედ იმ ქვისკენ წაიყვანეს. ბიძია დაეჯახა ქვას, გადმოვარდა, მუხლი დაიშავა, და შემდეგ მთელი კვირა იწვა ლოჯინში.

— მერმე ველარ დადიოდა? — დონალდს სიბრალულით სახე მოეღრუბლა.

— არა, არა, — სწრაფად დაამშვიდდა ემაწვილმა, — დადიოდა, მხოლოდ ყავარჯენის საშუალებით.

— მე დიდი მოხარული ვიქნებოდი, რომ შემეძლოს ყავარჯენის საშუალებით მაინც სიარული! შენიშნა გულდაწყვეტილად დონალდმა.

ემაწვილი სწრაფად წამოხტა:

— ნუ გეშინია, — უთხრა მან ნუგეშის ტემით. — შენ უსათუოდ ივლი, როდესაც ჩემი... როდესაც ექიმი ბურჩარდი მოვარჩენს. მაშინ აღარც ყავარჯენი დაგჭირდება და აღარც... ოჰ, სად მიიმალა ჩვენი მუხლოება? როგორ გგონია, ხომ არ ჩამომივარდა ფეხიდან, სანამ ჩვენ ვლაპარაკობდით? თუ მართლა ასე მოხდა, უეჭველად კისერს მოიტეხდა.

— მუხლოებებს კისერი არა აქვთ, — შენიშნა დონალდმა.

— შენ ასე ფიქრობ? მე კი გგონია, რომ მათ მარტო კისერი და ფეხები აქვთ. შესაძლებელია ის ტანიც იყოს. იფიქ-



რე ამაზე, პატარავ, და მითხარი შემდეგ რომ გნახავს...
 ნამ დონალდი მიიხედავდა, ყმაწვილი უკვე გაქტრა და მონაღოლ
 იმისი ნაზი სტეენა-ლა ისმოდა...

(შემდეგი იქნება).

ნინო ნინიძე.



ს ვ ყ ი ა

(ხალხური არაქი)



უღს ვის არ დაგვიკოდს მწარე ლაპარაკი,
 უფრო მაშინ, თუ კარს გვაღვას ფათერაკი,
 მაგრამ ავ კაცს რაგინდ კარგის თქმა უნდოდეს,
 კარგს მაინც ვერ იტყვის ვერსად, ვერასოდეს,
 ხანდისხან ის კარგის თქმასაც შეეცდება,
 მაგრამ კარგის ნაცვლად ავი წამოცდება...

ერთხელ ნავში მოხდა კაცი ენა მწარი,
 იცნეს და სულ ყველას თავს დაეცა ზარი,
 შუა ზღვაში იყვნენ, შორს მოჩნდა ნაპირი,
 თუმც ზღვა წყნარი იყო, არ ჰქროდა ზეფირი,

მაგრამ ავყიასთან თავს კარგად ვერ გრძნობდნენ,
 მისგან რამ ავის თქმას შიშით მოელოდნენ...
 მივიდნენ და სთხოვეს, ერთხანს მოეთმინა,
 ცოტა ხანს ენაზე კბილი დაებჯინა,
 რომ მგზავრთ არ სწევოდათ ფათერაკი, რისხვა.

ავყიამც აღუთქვა თხოვნის ასრულება:
 სთქვა: „ავ სიტყვით არ მსურს თქვენი დაწყლულება,
 და თუ ავი სიტყვა წამცდეს, შეგაშინეთ,
 ამ ნავის ნამტვრეენი თავში დამიშინეთ“...

ი. სისარულიძე.





საქართველოს რესპუბლიკის ღერძი.

ღამოუპიღებელი საქართველო

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

რაფიელ ერისთავი.

ყველას უყვარს თავისი სამშობლო, უყვარს ის ადგილი, სადაც დაიბადა და აღიზარდა.

ჩვენც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, საქართველო, მაგრამ განა ყველა ქართველმა იცის თავისი ქვეყნის ავ-კარგი?

სამშობლო ქვეყნის აღწერას, მისი თავგადასავალის შესწავლას ყველგან პირველი ადგილი აქვს დათმობილი.

ასე არ იყო ჩვენში. ქართველ ბავშვს პატარაობიდანვე რუსულად ასწავლიდნენ; ქართული ენის სწავლება უკურად-ღებოთ იყო მიტოვებული, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია სრულიად განდევნილი იყო სკოლიდან.

ათას რვაას პირველ წელს საქართველო შეუერთდა რუსეთს და მას შემდეგ ას თექვსმეტი წლის განმავლობაში ჩვენში უცხო ძალა ბატონობდა, რუსეთის მეფის მოადგილე განაგებდა ჩვენი ქვეყნის ბედს.

მაგრამ იყო დრო, როცა საქართველო თვითონ მართავდა თავის საქმეებს, თვითონ იყო თავისი ბატონ-პატრონი.

საქართველო ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე არსებობდა, თუმცა ეს იყო უფრო ქართულად მოლაპარაკე ხალხით დასახლებული ადგილი, ვინემ სახელმწიფო: ის იმ დროს არ წარმოადგენდა ერთს მთელს, არამედ დაყოფილი იყო მრავალ ნაწილებად და ამ ნაწილებს შორის ხშირად სასტიკი ბრძოლა იმართებოდა. შემდეგ მეთერთმეტე საუკუნეში, მეფე დავით აღმაშენებელის დროს საქართველომ მიაღწია ერთგვარ სიძლიერეს, რაც თამარ მეფის დროს კიდევ უფრო განმტკიცდა.

მაგრამ დიდხანს არ ყოფილა საქართველო ძლიერი.

რა იყო ამის მიზეზი? მეცამეტე საუკუნიდან იწყება ერთის მხრით ოსმალეთის გაძლიერება, ხოლო მეორე მხრით საქრისტიანო ბიზანტიის დაუძლიერება. საქართველოს აფარებელი მტერი ეხვია ვარს. ლეკებს და სხვა წვრილ ერებს ის ადვილად უმკლავდებოდა, მაგრამ სპარსეთის და ოსმალეთის მოგერიება თან-და-თან ძნელდებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთმა შესძლო ჩამოეგლიჯა საქართველოსთვის მისი საუკეთესო ნაწილი — ახალციხის მხარე და ჯავახეთი, ანუ ძველი მესხეთი, აკვანი ჩვენი ძველი განათლებისა, შოთა რუსთაველის სამშობლო. ამას მიჰყვა აჭარა-ქობულეთი და არტაანი.

სპარსეთის მეფემ დიდძალი ქართველობა აჰყარა სამშობლო მიწა-წყლიდან და სპარსეთში გადაასახლა. იქ, ფერეიდანის პროვინციაში, დღესაც სცხოვრობს ეს ქართველობა, უკვე გადარჯულებული, მაგრამ ქართულად მოლაპარაკე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების
შემდეგ არჩეული პირველი მთავრობა.



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
კ. ჩხეიძე



საქ. პარლამენტის თავმჯდომარის
ამხანაგი ე. თაყაიშვილი.



საქ. პარლამენტის თავმჯდომარის
ამხანაგი ი. ბარათაშვილი.



დაპრობილ ადგილებში ოსმალეთი შეუდგა ხალხს ტას და გადასახლებას, და ვინც დარჩა—რჯული გამოაცლენინა ძალდატანებით. ამგვარად გაჩნდა სამუსლიმანო, სამაჰმადიანო საქართველო.

ამ დღიდან იწყება საქართველოს ბედის უკუღმა ტრიალი.

ძველი მესხეთი ერთგვარ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა შიდა საქართველოსთვის, და ამ კუთხის დაპრობით ოსმალეთს ხელში ჩაუვარდა ჩვენი ქვეყნის ვასალები.


და ოსმალეთიც ისე დათარეშობდა ჩვენს ქვეყანაში, როგორც ავაზაკი. მართალია, მან ვერ შესძლო მთელი საქართველოს ხელში ჩავდება, მაგრამ იმდენად დაგვაუძღურა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ქართლ-კახეთის მეფე ირაკლიმ რუსეთს სთხოვა შეეღო და 1801 წელს საქართველო საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა.

ჩვენი ქვეყნის მაშინდელი გამგებლების სურვილი სულაც არ იყო ის, რომ საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნია გამხდარიყო, მაგრამ რუსეთის მეფემ უსირცხვილოდ დაარღვია დადებული პირობა. ხალხი დამორჩილდა ახალ ბატონს. ბატონი კი შეუდგა თავისებურ მუშაობას: რუსეთი ცდილობდა ამოეფხვრა ხალხში ყველაფერი ის, რასაც ქართული ელ-ფერი ედო. ენა, სკოლა, სარწმუნოება არაფერი—არ გადაურჩა რუსეთის მთავრობის ტლანქ გავლენას.

ერთი კარგი საქმე კი გაკეთდა რუსეთის მართველობის დროს: გადაეწერა ბატონ-ყმობა და სამაჰმადიანო საქართველოს დიდი ნაწილი ოსმალეთს ჩამოერთვა.

ამით თითქოს ისევ გაერთიანდა საქართველო, მაგრამ რუსეთის მეფის მთავრობას არ სურდა ასეთი გაერთიანება და ამიტომ ის საგანგებო მოხელეების პირით უნერგავდა სამაჰმადიანებულ ქართველებს იმ აზრს, რომ ისინი თათრებია და არა ქართველები.

ას თექვსმეტი წელი გაატარა ქართველმა ხალხმა ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში, მაგრამ ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის პარტში რუსეთის ხალხების შეერთებულმა ძალამ ჩამოაგდო



მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.



სახ. გან. მინისტ. გ. ლასხიშვილი.



საგარეო საქმ. მინ. ა. ჩხენკელი. შინაგან საქმ. მინ. ნ. რამიშვილი.





ტახტიდან მეფე და თავისუფლება გამოაცხადა. საქართველოს საშველება მიეცა თავისუფალ განვითარებისათვის. ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა არ ფიქრობდა რუსეთის მოშორებას, რადგან მას სწამდა, რომ რუსეთის ხალხთან ერთად მოაწყობდა სასურველად ცხოვრებას.

მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. რუსის ჯარმა არ მოისურვა ოსმალეთისაგან საზღვრების დაცვა და სახლში დაბრუნდა.

საქართველო შეუდგა ურუსეთოთ მოწყობას ცხოვრების ამიერკავკასიის საზღვრებში: ამისათვის ის შეუთანხმდა ადერბეიჯანის თათრებს და სომხეთს და მოაწყო საერთო მთავრობა და სეიმი. სეიმი ისეთი დაწესებულება იყო, რომელიც ადგენდა საერთო ხასიათის წესებს ან კანონებს. ეს 1918 წლის იანვარში.

მაგრამ დიდხანს ვერ იარსება ამიერ-კავკასიის საერთო მთავრობამ და სეიმმა: ოსმალეთმა გადმოლახა საზღვრები, აიღო ბათომი, გუმბრი და გურიის ნაწილი. და აქ გამოირკვა, რომ ადერბეიჯანის თათრებს თურმე ლალატი ედოთ გულში: მათ სურდათ მთელი კავკასია ოსმალეთისათვის გადაეცათ. ასე რომ მომხდარიყო, საქართველო ოსმალეთის ლუკმა გახდებოდა. ეს არ ისურვა საქართველოს ხალხმა და მისმა არჩეულმა კაცებმა გადასწყვიტეს: გამოეცხადებიათ საქართველო დამოუკიდებელ, ცალკე რესპუბლიკად.

ეს მოხდა ათას ცხრაას თვრამეტის წლის ოცდა ექვს მაისს, ნაშუადღევს 5 საათსა და 10 წუთზე. მაშინდელმა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად მიიღო აქტი საქართველას დამოუკიდებლობისა.

მიმდინარე წლის მარტის 12-ს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, არჩეულმა ორივე სქესის სრულწლოვან მოქალაქეთაგან, ერთხმად დაადესტურა ეს აქტი.

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

„დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—



ფინანსთა მინისტრი
გ. გურული.



სამხედრო მინისტრი
გრ. გიორგაძე.



მიწათმოქმ. მინისტრი
ნ. ზომერიკი.



იუსტიციის მინისტრი
შ. მესხიშვილი.



გზათა მინისტრი
ი. ლორთქიფანიძე.

დემოკრატიული რესპუბლიკაა“, — ამბობს აღნიშნული პირველი და მეორე მუხლი.

დამოუკიდებლობა ჩვენთვის ახალი არ არის: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“, ნათქვამია აქტში.

მაგრამ სრულიად ახალია ჩვენთვის ის, რომ საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ძველი საქართველო იყო მეფური საქართველო, ქვეყნის ბედს განაგებდნენ მეფე და დიდებულები. ხალხს არ ეკითხებოდნენ. ამ ხალხის დიდი ნაწილი, მთელი გლეხობა ბატონკმურ უღელში იყო გაბმული.

ამიტომ მოხდა შემდეგი:


დიდებულმა მამულიშვილმა, მეფე ირაკლიმ რუსეთს სთხოვა შეველა, იმ იმედით, რომ ერთმორწმუნე რუსეთი დაიხსნოდა ქართველ ხალხს ოსმალეთის თარეშისაგან. რუსეთმა მართლა გარეკა ოსმალელები, მაგრამ თითონ დაარღვია დადებული პირობა და საქართველოს აართვა ყოველგვარი უფლება. და რუსეთის ამ ძალმომრეობას ხალხი დუმილით შეხვდა.

დღეს ჩვენში დემოკრატიული რესპუბლიკაა: მეფის და ერთი მუჭა დიდებულების მაგიერ ქვეყანას განაგებს დამფუძნებელი კრება, რომელიც არჩეულია მთელი ხალხის მიერ. მთავრობაც ხალხს ემორჩილება.

ამიტომ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საქართველოს შეერთებული ხალხი ადვილად არავის დააჩაგრონებს თავს.

აი რა მოგვცა ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობამ, რომელიც შარშან მაისის 26 იქნა გამოცხადებული.

შეიკვარეთ ეს დამოუკიდებლობა, მკითხველებო, და ეცადეთ, რომ ღირსეული შვილები გახდეთ თქვენი მშვენიერი სამშობლოსი!



თავისუფალ საქართველოს მხარი.



აქ ამიერ-კავკასია სამ რესპუბლიკად გაიყო და საქართველო სახელმწიფოებრივ ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა, მას შემდეგ რამდენჯერმე მოუხდა საერთაშორისო დახლართულ პოლიტიკის ქსელის გარღვევა და სისხლის დაუღვრელად სამშვიდობოზე გამოსვლა. მაგრამ უცნაური იყო ყოველთვის საქართველოს ბედი, და ახლაც შეუძლებელი გახდა, რომ მუხთალ ბედს ერთხელ კიდევ არ აეტირებინა ქართველთ ოჯახი.

დღიდან თავისი განთავისუფლებისა საქართველო იძულებული იყო თავის მუდმივ, საუკუნოებრივ მტრისათვის, ოსმალეთისათვის, ბათომი და ბათომის ოლქი დაენებებინა. მართალია, საქართველოს, თუ სრულიად არა, — ცოტა ხნით მაინც შეეძლო ოსმალეების შეჩერება, რითაც დროს მოიგებდა, — და დროს მოგება კი ხშირად სახელმწიფოთა საერთაშორისო ცხოვრებაში სრულს გამარჯვებას უდრის, — მაგრამ სამწუხაროდ რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზის სამსახურზე დაღლილმა ქართველმა ჯარის კაცებმა არ მოისურვეს სამშობლოს დაცვა. სამხედრო მოვალეობის მოსაბდელად არავინ გავიდა და ოსმალნიც თითქმის უბრძოლველად და მეტად მცირე ლაშქარით, როგორც გამარჯვებულნი, შევიდნენ ბათომში.



ამას მოჰყვა ბოლშევიკური არეულობა, და აქავე მთავრობის გამოძახილზე ჯარისკაცები არ გამოვიდნენ, და რომ სახალხო გვარდია არა, საქმე კუდად ჩაივლიდა.

საქართველოს ასეთმა მდგომარეობამ შიდა გაუხსნა საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთით მდებარე სომხეთის რესპუბლიკის შესვლათ, რომლებიც საქართველოს ბორჩალოს მაზრას და ჯავახეთს შეედავნენ და ომიც გამოუცხადეს. სომხეთმა, როგორც თავისუფალმა სახელმწიფომ, თავისი არსებობა საქართველოზე ადრე დაჰკარგა და მეთორმეტე საუკუნედან მოყოლებული თავისუფალი სახელმწიფო სომხეთი არ არსებობდა. რასაკვირველია, ხალხი, რომელიც სხვის ხელში იჩაგრებოდა, გამოსავალს ეძებდა, და გარდა იმისა, რომ მუდამ სახელმწიფოს აღდგენაზე ფიქრობდა, ემიგრაციას ეწეოდა. ე. ი. სხვა უფრო მყუდრო ახლობელ ადგილებში სახლდებოდა.

საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთის საზღვარი—ბორჩალოს მაზრა, ანუ ტაშირი, ლორი, დბანისის, ბოლნისის,—ქციის და სხვა ხეობანი, სომხითი, ლოკი, თრიალეთის შთა და სხვა განიციდნენ მტრისაგან მუდმივ შემოსევას და აოხრებას. ეს ადგილები, ბუნებით მდიდარი, ოდესღაც ქართველებით მტკიცედ დასახლებული იყვნენ და წარმოადგენდნენ ჯერხუნანის საერისთაოს და შემდგომ მოწინავე სადროშეს, რომელშიაც შედიოდა ეგრედ-წოდებული საორბელო, საბარათიანო. მუდმივი შემოსევით დაშინებული ქართველები ხშირად მთელი სოფლებით იყრებოდნენ და სახლდებოდნენ შიდა ქართლში. ამგვარად თითქმის დაცარიელდა აქაური ოდესღაც მრავალრიცხოვანი ქალაქები და მაგარი ციხეები. მოშორდნენ მწყემსები, ეპისკოპოსნი თუ არქიმანდრიტნი აქაურ ეკლესიებს, რომლებშიაც ზოგიერთნი, მაგალ. წულურულაშენი, ფიტარეთი, წყეთელი ეკლესია, ახტალა და სხვანი—ქართული ხელობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. ბევრი მათგანი დაინგრა მაგრამ ჩამოთვლილები ახლაც შევნიან, ხოლო ქართველებს აღარ ეკუთვნიან. დროთა ბრუნვამ ეს მაზრა უფრო უზრუნველყოფილი და უშიშარი გახადა, ვიდრე შიდა სომხეთი და ვადმო-



ბევრი სომხები, კაპიტალისტები თუ გლეხები, იძენდნენ ქართველ მემამულეთაგან აქ ადგილებს და სახლდებოდნენ. ამის გამო მაზრაში, გარდა სპარსელების მიერ ჩამოსახლებულ თათრებისა, ქართველ მცხოვრებთ რიცხვით სომხებიც სჭარბობდნენ. მიუხედავად სომხების ემიგრაციისა, მაზრაში ჯერ კიდევ ბევრი თავისუფალი ადგილია დასასახლებლად და თავისი მდებარეობით ისეთია, რომ უმისოდ ქალაქ თბილისისა, და თბილისით კი — ქართლის დაცვა შეუძლებელია. მართალია — ქართველთ მოსახლეობა მაზრაში მცირეა, მაგრამ კავშირი მასთან ქართველებს დიდი აქვთ, რადგანაც აქ არის საუკეთესო საძოვრები, და მისი მოკვეთა საქართველოს სხეულისათვის შესაქონლეობის დაღუპვა იქნებოდა.

ყოველივე ზემოყვანილის გამო საქართველოს მთავრობა ამ მაზრას სომხებს ვერ დაუთმობდა, მაგრამ მეზობელ რესპუბლიკასთან შშვიდობიანად საქმის გადაწყვეტის სურვილით გატაცებულმა, მიმართა მათ წინადადებით, რომ ეს საკითხი არბიტრაჟით გაერჩიათ ე. ი. შინდოთ ამ საკითხის გადაწყვეტა არჩეულ პირებისათვის. ეტყობა სომხეთის მთავრობა არ მოვლოდა თავისათვის სახირო გადაწყვეტილებას და თუმცა სიტყვით საქართველოს დაეთანხმა, ფარულად ომისათვის შზადება დაიწყო. საქართველოს წარმომადგენელს არწმუნებდნენ, რომ შევთანხმდებითო და ელჩებიც კი აირჩიეს საქართველოში წამოსასვლელად, მაგრამ შშვიდობიან მოლაპარაკების მაგივრად, დეკემბერში დაეცნენ ქართულ სულ მცირე არცხოვან მონაპირე რაზმს, ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს. შუა მოიმწყვდიეს გენ. წულუკიძის მცირე რაზმი და სამი ჯავშნიანი მატარებელი. გარდა ასეთი თავდასხმის მოულოდნელობისა და ჯარის სიმრავლისა, სომხებს ხელს უწყობდა მდებარეობა. მთებიდან ქვეები ჩამოაგორეს, და ჯავშნოსანი მატარებლების ვიწროებიდან გამოყვანა შეუძლებელი გახდა.

ქართველთ რაზმს შემოაკლდა ყუმბარები და მოსალოდნელი იყო მისი ტყვედ ჩაეარდნა; მაგრამ რაზმის სიმამაცემ გასჭრა და ტყვეობას თავი დაახწიეს, ისე რომ იარაღიც კი არ



დაუტოვეს მტერს. გამოირკვა, რომ საქართველოს ფარგლებში შიაც კი მოეწყობოთ სომხებს მობილიზაცია, და ამიტომაც იყო რომ სომხეთის ჯარი უკვე მოვიდა საზღვრებიდან, ე. ი. კობერიდან შულავერამდე. ცხადია—უმთავრესი იმედი სომხეთის მთავრობისა ემყარებოდა ამ მოულოდნელ და ჩქარ მოქმედებას და კიდევ უფრო იმ აზრს, რომ ქართველი ხალხი აქაც გულგრილობას გამოიჩენდა და მობილიზაცია არ მოხდებოდა, ჯარის კაცები არ გამოცხადდებოდნენ და სომხეთის ლაშქარის გამარჯვებულ მსვლელობას ვერავენ შეაფერხებდა. საბედნიროდ მათი იმედი არ გამართლდა და მობილიზაციამ საუცხოოდ ჩაიარა. უკვე შეგროვდა კარგი ლაშქარი და პირველსავე სერიოზულ შეტაკებაში მტერი დაამარცხა. სახალხო გვარდიამ აიღო დაგეთ-ხაინი, მიუვალი და გამაგრებული მალლობი, ჯარმა ხელთ იგდო შულავერი, საქართველოს ფარგლებში უმთავრესი ბუდესიმაგრე სომხებისა, და სომხები გაიქცნენ. საკმარისი იყო რამდენიმე დღე საზღვრებიდან მათ ვასარეკად, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ ინგლისელები და ქართველი ჯარის წინმსვლელობა შეაჩერეს.

ბორჩალოს მაზრასთან ერთად სომხებმა ლაშქარი ჯავახეთსაც მიუსიეს, მაგრამ აქ მათი საქმე კიდევ უფრო ცუდად წავიდა: პირველ შეტაკებისათინავე ქართველებმა ისინი დაამარცხეს და უკუ აქციეს. მაგრამ ზავმა აქაც ხელი შეუშალა ქართველი ჯარის წინსვლას. ზავი ჩამოვარდა იმ პირობით, რომ ყოველსავე საკამათო საკითხებს გადასწყვეტს შემათანხმებელი ორგანო.


ამგვარად ქართველი ხალხის სიფხიზლემ გადაარჩინა საქართველო დიდ უბედურებას, რადგანაც გამარჯვებული სომხები თავისას გაიტანდნენ: ბორჩალო და ძველი კულტურის აკვანი ჯავახეთი საქართველოს ჩამოშორდებოდა. ორივე ეს კუთხე კი საქართველოს ეკონომიური აღორძინებისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია და მათი ისტორიული მნიშვნელობა ხომ მეტად დიდია. ჯავახეთში სომეხ მცხოვრებთა რიცხვი რუსების მოსვლის შემდგომ გაიზარდა, როდესაც ქართველი მაჰმადიანები



ოსმალეთში გადასახლდნენ და რუსეთის მთავრობამ მათ დასახლება მოსწონებდა და მათ დასახლება მოსწონებდა.

გათავდა ომი სომხებთან თუ არა, ოსმალოს ავანტიურისტებმა ნური-ფაშამ და ხალილ-ბეიმ ოსმალო სალდათების დახმარებით აუჯანყეს ქართველებს ახალციხე-ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანები და ბრძოლის დროშა აღმართეს. რასაკვირველია, საქართველოს შეუძლია და შესძლებს კიდევ მათ დამარცხებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ უბედურებას მეორე მოსდევს და სწორედ იმ დროს, როცა ეს სტრიქონები იწერება და ოსმალეთის გენერალთა და ქართველ ბეგების ამბობება ჯერ არ ჩამჭრა, მოვიდა ცნობა, რომ სოკის ოლქში ქართველ ჯარს თავს დასცემია რუს შავრაზმელთა ლაშქარი დენიკინისა, „დობროვოლჩესკაია არმიის“ სახელით ცნობილი. იწყება ახალი ომი, იწყება ახალი ხიფათი საქართველოსთვის. ხიფათისაგან თავის დასახსნელად საქირია, რომ ახლიც ხალხი მზურვალედ შეხედეს მთავრობის მოწოდებას და ერთხმად გავიდეს მტერთან შესაბრძოლებლად; თუ ეგრე არ მოხდა, მტერი გვაჯობებს და საქართველოს სხეულს კიდევ ჩამოშორდება რომელიმე მშვენიერი კუთხე.

ბევრი მტერი აღმოუჩნდა ნორჩ რესპუბლიკას, და მას წინანდებურად უხდება მათი დახვედრა. საქართველო პატარაა, და მისი გადარჩენა შვილების უდიდეს სიფხიზლეზე და ერთგულებაზეა დამყარებული. თუ თვითონ ქართველებმა არ უშველეს თავის თავს, სხვა სახელმწიფო უსასყიდლოდ ხელს არ გაანძრევს. სასყიდელი კი მეტად დიდი იქნება და მძიმე ულლად დააწვება მას კისერზე.





საქართველოს წყლები.

(მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა).



აქართველო წყლებით მდიდარი ქვეყანაა; ეს აიხსნება იმით, რომ წვიმა ხშირად იცის. ხშირი წვიმა კი გამოწვეულია ზღვის სიახლოვეით და მაღალი ტყით მოსილი მთების სიმრავლით.

საქართველოს ბევრი მთები არამც თუ ზამთრობით, არამედ მთელი წლის განმავლობაში შემოსილია თოვლით და ყინულით. როცა საქართველოს ცხოველ-მყოფელი მზის სხივები აღნობენ მათ, წყალი ევანავს მიწაში და შემდეგ მრავალ ცივ და ანკარა წყაროებად გამოჩუბჩუბებს გარედ. ეს წყაროები აჩენენ მრავალ მდინარეებს და ტბებს, რომლითაც ჩვენი ქვეყანა დასერილია.

სუყველაზე მაღალი მთები ჩვენი სამშობლოსი არის კავკასიონისა; ეს მთა-გრებილი არის უმთავრესი ძუძუ ჩვენი მდინარეების მასაზრდოებელი.

თითქმის ყველა ჩვენ მოზრდილ მდინარეთ, ზოგიერთს გარდა, ამ მთებში აქვთ სათავე, და თუ მაინც სათავე აქ არ აქვთ, შესართავი მათი ტოტები მაინც აქედან იწყებიან.

საქართველოს მდინარენი, იმ მზარის მდებარეობის—და მიხედვით, სადაც ისინი მიმდინარეობენ, შეიძლება გაიყოს სამ რიგად: აღმოსავლეთ საქართველოს მდინარენი, ანუ მდინარე მტკვრის ბასეინი; დასავლეთ საქართველოს მდინარენი, ანუ მდინარე რიონის ბასეინი; სამხრეთ საქართველოს მდინარენი, ანუ მდინარე ჭოროხის ბასეინი.



აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი მდინარე არის მტკვარი. იგი ჩვენი სამშობლოს ყველა სხვა მდინარეებზე გრძელია და დიდი, ამიტომ მას შეგვიძლია ვუწოდოთ საქართველოს წყლების მამა-მთავარი.

მდინარე მტკვარს აქვს სათავე არსიანის მთის სამხრეთ ტოტში, რომელსაც ეწოდება მუთულჯანი; იგი მდებარეობს იმ ადგილში, რომელიც ძველად იწოდებოდა კოლად. ამ მთის ფერდობიდან გამოჩუჩხუხებს ვეებერთელა წყარო: ეს არის მტკვრის სათავე; იგი მდებარეობს 6642 ფუტის სიმაღლეზე შავი ზღვის ზედა პირიდან. აქ მტკვარი პატარაა; იქვე ახლო მას ერთიან მთის ნაკადები და იგი ცოტათი იზრდება; მტკვარს მიმდინარეობის მიმართულება არა აქვს ერთნაირი: ხან ჩრდილოეთისკენ, ხან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და ხან აღმოსავლეთისკენ უხვევს.

სოფელ გოვაშენამდის მტკვარი ჩქარა მომდინარეობს, შემდეგ კი უკლებს თავის ჩქარ სულს და ითვისებს სიღინჯეს, რომელიც შეუნარჩუნებია ბოლომდის. მრავალი წყალი ჩადის მდ. მტკვარში: მარცხენა მხრიდან მას ერთიან: ქ. ახალციხესთან ფოცხოვის წყალი, ქ. გორთან — ლიახვი, რომელიც შემდგარია ორ მდინარესაგან: დიდ და პატარა ლიახვევისაგან; ორივეს სათავე აქვს კავკასიონის ქედში. მომდინარეობენ შუა ქართლზე და ერთიან ერთმანეთს სოფელ შერთულასთან. ლიახვს ქ. გორთან, ვიდრე იგი მტკვარს შეუერთდებოდეს, ემატება მდინარე მეჯუდა. შემდეგ ერთვის მტკვარს ქსანი, სოფელ მცხეთასთან — არაგვი. ეს შესანიშნავი მდინარეა; იგი ბევრის მომსწრეა საქართველოს წარსულ დროში; ამ მდინარეზე ბევრს სწერდნენ ქართველი მწერლები და სხვათა შორის ილია ჭავჭავაძესაც აქვს ერთი მშვენიერი ადგილი თავის პოემაში „აჩრდილი“, მიძღვნილი არაგვისადმი, ეს ადგილი იწყობა შემდეგ სტრიქონებით: —

„ჩვენო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ!...

ქართლის ცხოვრების მოწამე შენ ხარ...

შენს კიდევბზე ჩემი მამული
 იყო ერთ დროსა გამშვენებული“ და სხვა.

ბოლოს, საქართველოს და ადერბეიჯანის საზღვარზედ, მტკვარს ერთვის ალაზანი იორით. ალაზანსა და იორს აქეთ სათავე კავკასიონის მწვერვალ ბორბალოს სამხრეთ ფერდობებზე; პირველი მომდინარეობს ჯერ თუშეთზე და შემდეგ შიგნით კახეთზე; ხოლო მეორე ჯერ ფშავეთზე და მერე გარე კახეთზე, ანუ კუხეთზე.

მარჯვენა მხრიდან მტკვარს ერთვიან: სოფ. ხერთვისთან— ჯავახეთის მტკვარი; იგი გამომდინარეობს თაფარაენის ტბიდან. სოფ. ხიდისთავთან, გორის ცოტა ქვევით, ერთვის ტანა, რომელიც იწყობა თრიალეთის მთებში მწვერვალ ჯამ-ჯამის ჩრდილოეთით; თბილისის ქვევით ერთვიან ალგეთი და ხრამი; უკანასკნელი თავის ტოტით ბორჩალოთი; მისი სხვა სახელია დებედა-ჩაი.

მდ. მტკვარი ჩადის კასპის ზღვაში; მისი სიგრძე მარჯნის წყაროდან კასპის ზღვამდე არის 1244 ვერ. მთელი მტკვრის ბასენს უჭირავს 136,355 ოთხკუთხი ვერ. მტკვრის სათავედან ალაზნის შესართავამდე არის 726 ვერ. ამ სიგრძეზე მიმდინარეობს მტკვარი ჩვენ სამშობლოში, მერე კიდევ გაივლის 518 ვერსს და ჩადის კასპიის ზღვაში.

ეს უდიდესი მდინარე საქართველოსი სარწყავად თითქმის გამოუყენებელია, რადგანაც ღრმა კალაპოტში მიმდინარეობს; მისი სარგებლობა ისაა, რომ იგი ეზიდება ტივებს ბორჯომის ხეობიდან გორსა და თბილისამდე და ატრიალებს წისკივლებს. აგრეთვე სარგებლობა მისი—თევზების სიმრავლეა: მტკვარში მოიპოვება 50 ჯიშის თევზი, რომელთა შორისაც მტკვარი ითვლება 18 ნაირ თევზის სამშობლოდ. მტკვრის სათავეში მრავლად იცის კალმახი, მხოლოდ ქვევით მოიპოვება ლოქო, ციმორი, ნაფოტა, მურწა, ორაგული, წითელი ქანარი და სხვა მრავალი. ყველა ეს თევზები ბუდობენ აგრეთვე მტკვრის თითქმის ყველა შესართავებში.

საქართველოს საზღვრებში მტკვარი სანავოსნოდ გამოუყე-



ნებელია თუმცა ამბობენ—ძველ დროში იყო ნავოსნობა, რამ ამის დასამტკიცებელი საბუთები ჯერ არ მოგვეპოება.

დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარე არის რიონი; მას ძველად ერქვა ფაზისი; იმას სათავე აქვს ზემო-რაჭის ფასის მთაში; დასაწყისთანავე მას ერთვიან პატარა მდინარენი: ლარულა, საყაურა, ჭანჭახა და სხვანი. სიგრძით რიონი მტკვარზე ძალიან ნაკლებია; იგი დაახლოვებით 200 ვერსის-სიგრძეა; ჩადის შავ-ზღვაში ქ. ფოთთან; მიმდინარეობის მიმართულება არა აქვს ერთნაირი; იგი მიიმართება ხან დასავლეთით და ხან სამხრეთით. რიონს ერთვის მრავალი შენაკადი. მათში შესანიშნავია მარცხნივ ყვირილა, მარჯვნივ—ცხენის-წყალი, ტეხურა და სხვანი; ქ. ქუთაისამდე რიონი მიმდინარეობს ჩქარა, შემდეგ კი თან-და-თან მდორეთ მიდის. მის ზევითა ნაწილში ხელოვნური რწყვა მოუხერხებელია, ქვევითა მის მიმდინარეობაში კი ხმარობენ მის წყალს სარწყავად. თევზი ბევრი იცის რიონში, მხოლოდ მეთევზეობას, როგორც ხელობას, არავენ, ან სრულებით მცირედ მისდევენ. რიონში შესაძლებელია ნავოსნობა შავი ზღვიდან ს. ორპირამდე პატარა გემებით.

დასავლეთ საქართველოში არიან ისეთი მდინარენიც, რომელნიც პირდაპირ ზღვაში ჩადიან; მათ შორის მოზრდილნი და შესანიშნავნი არიან: ბზივა; იგი საზღვრავს საქართველოს ჩრდილოეთისაგან, შავი ზღვიდან მოყოლებული ვიდრე კავკასიონის ქედამდე; კოდორი; ენგური, აქვს სათავე სვანეთში, ხობი, სუფსა და სხვანი.

სამხრეთ საქართველოს მთავარი მდინარე არის ქოროხი; სათავე აქვს კლარჯეთში, ბატონიშვილ ვახუშტის თქმით,— ირიჯლუს მთაში, და მიმდინარეობს სხვა-და-სხვა მიმართულებით. ჩადის შავ ზღვაში, ბათუმის სამხრეთით; სიგრძე მისი არის 250 ვერსამდის; იგი რიონზე გრძელია; ქოროხი ჩქარი მდინარეა; მომდინარეობს მაღალ-კლდოვან მთებს შუა; მიუხედავად ყოველივე ამისა, ნავოსნობა სწარმოებს მთელი 80 ვერსის სიგრძეზე: ქალ. ართვინიდან ბათუმამდე. ქოროხში მოკურავე ნავებს პრტყელი ძირები აქვთ, ძალიან ჩქარა მისცუ-



რავენ; ამ მხრივ ქოროზი დიდად სასარგებლოა მცხოვრებთათვის; იმ მანძილს, რასაც იქაური ქოროზით გასკურავს ერთ დღეში, ხმელეთით, უგზოობისა გამო, (ეს ქვეყანა ძალიან მთაგორიანია) სამჯერ მეტ დროს მოანდომებდა. სარწყავად ქოროზი სრულიად გამოუსადეგარია, მხოლოდ რწყავს შავი ზღვის პირის ადგილებს თავის შესართავთან ახლო. ქოროზის შესანიშნავი შესართავი ტოტებია მარცხნივ: მურღულის წყალი, ხატილა წყალი, პარხალი; მარჯვნივ – აქარის წყალი, იმერხევი, ოლთისის წყალი..

ქოროზში მრავლად იცის სხვა-და-სხვა თევზია და უფრო კი კალმახი, რომელიც შესამჩნევად გემრიელია.

საქართველოში არის სათავე მდინარე თერგისა, რომელიც გამოდის მყინვარის საშხრეთ-დასავლეთით მდებ მთებიდან, აპობს კავკასიონის მთავარ ძარღვს და მერე ჩრდილო კავკასიით ჩადის კასპის ზღვაში.

საქართველოში მრავალი ტბებია; ივინი მოიპოვებიან თითქმის ყველა კუთხეებში, როგორც მთაში ისე ბარში. ყველაზე ბევრი ტბებია ჩვენ სამშობლოს იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება ჯავახეთი; იქ სხვა ტბაზე უფრო მოზრდილნი არიან: ტაბისყურის და თაფარავენის ტბები. ქართლში არის ბაზალეთის ტბა; და მთაში, მდინარე ქსნის სათავეში, ყოლის ტბა; დიდი ტბა არის სამეგრელოში ქალ. ფოთთან მას ჰქვიან პალეას-ტომი. ბევრ ამ ტბებში მოიპოვება გემრიელი თევზი, ზოგში-კი იგი სრულებით არ ბუდობს.

საქართველოში ბევრია ქაობები; მეტადრე შავი ზღვის პირად მდ. რიონის მიდამოებში, ეს ქაობები ფრიად მვენებელი არის ადამიანის სისალისათვის, რადგანაც ხელს უწყობს ციებ-ცხელების და სხვა ავთმყოფობის გაჩენას.

ჩვენ სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხეში მრავლად მოიპოვებიან სამკურნალო წყლები, რომელნიც ჰკურნავენ სხვა და სხვა ავთმყოფობებს; ბევრი ამ წყაროთაგანი გამოკვლეულია, შესწავლილი და განთქმული: მაგალითად დასავლეთ საქართველოში წყალტუბისა, აღმოსავლეთ საქართველოში თბილისისა



და ბორჯომისა; ეს უკანასკნელი იძლევა წელიწადში მე მილიონ ბოთლ წყალს და სახლვარგარედაც ბლომად იგზავნება. მრავალი სამკურნალო წყლები გამოუკვლეველია, შეუსწავლელი და მოუწყობელი. ამ წყლების მომავალი წინ არის; მათ მოწყობა-გამოყენებას თვით სახელმწიფო შეუდგება. ასეთი წყლებია: კობისა, სამხდრო ვხაზე; გორის-ჯვრისა—ქ. გორთან; ახტალისა—კახეთში; ეამურისა—ღუშეთის მაზრაში, ქსნის ხეობაზე, და სხვა მრავალი.

მრავალია საქართველოში ხელოვნურად გაყვანილი არხები სხვა-და-სხვა მდინარეებიდან, სარწყავად; მთელი შუა ქართლი გადასერილია ლიახვიდან გაყვანილ არხებით; ხელოვნური არხები გაყვანილია ყარაიაზში და ბორჩალოში.

საქართველოს დასავლეთით უდევს შავი ზღვა, რომლის სანაპიროც ეკუთვნის საქართველოს სამას ვერსის სიგძეზე მეტი. ძველად შავ ზღვას ერქვა პონტიის ზღვა. იგი ჩვენ სამშობლოსათვის ფრიად სასარგებლოა. მთელი წლის განმავლობაში იგი არ იყინება და მასზე ყოველთვის შესაძლებელია ნავოსნობა; ამას ხელს უწყობს ისიც, რომ საქართველოს სანაპიროსთან შავი ზღვის ნაპირი ღრმაა, არ არის მოთენილი კლდეებით და საშუალებას აძლევს გემს ახლო მიუდგეს ნაპირს. შავ-ზღვაზედ არის რამდენიმე შესანიშნავი ნავთსადგური; მათში მნიშვნელოვანი არიან უფრო: ბათუმი, ფოთი და სოხუმი.

თევზი შავ-ზღვაში მრავლად ბუდობს; იქ ითვლება 130 ჯიშის თევზი. თევზობას მისდევენ ნაკლებად; ეს ხელობა უფრო განვითარებულია მდინარეთა შესართავებთან; მაგალითად: კოროხისა, რიონისა, ენგურისა და სხვა.


შავზღვაზე იჭერენ მრავალ ლოკოკინებს და დელფინებს (ზღვის ლორებს); მარტო ლოკოკინებს იჭერენ წელიწადში 5—6 მილიონს; ხოლო დაჭერილ დელფინებისაგან მარტო სოხუმის ოლქში გამოუხდიათ ერთ წელიწადში 25 ათასი ფუთი ქონი, რაც საჭიროა საპნის გასაყეთებლად.

საქართველო, როგორც დავინახეთ, წყლებით, ძალიან მდიდარია; ხოლო იგინი სრულებით არ არიან გამოყენებულნი



ქართველების მიერ. სხვა განათლებულ ქვეყნებში ბუნებრივი ძალა გამოყენებულია. ჩვენი წყლების მომავალი ასეთია: დადგება დრო, როცა ეს წყლები ააბუშავენ ბორბლებს, მანქანებს და ქარხნებს, საქართველოს და მის ერის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

ი. ხუციშვილი.





შარადები

(წარმოდგენილი ვ. ნიორაძის მიერ).

I.

პირველი—ამხანაგების
 გაყოფვის დროს იჩენს თავსა,
 მეორე—ზედ ნაძენს იჭერს,
 გვირაბში კედლებს შეკრავსა;
 მას ბოლო ასო მოვაკლოთ
 ხელს შეუშლის დასართავსა.
 მესამეს ქართლელი ხმარობს,
 მეოთხე—სახელ-ნაცვალობს,
 შემდეგი ასო ჯობს ეგავსა
 და მარადის ბოლო სიტყვა
 ტყეში არის მხეცსა ჰყავსა.
 ერთად საქართველო იმან
 ბევრჯერ აშორა ჭირ-ავსა.

II.

პირველი—ბევრი ზღვასა აქვს
 მასზე ცოტა მდინარესო,
 მეორე არ მოასვენებს,
 თუ შეხედა მდინარესო;
 უკანასკნელ უხმოთ შუა
 ხშიანი ჩააპარესო,
 რასაც თან ის დაჰყოლია
 აბალისებს მცინარესო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი


(წარმოდგენილი ამბროსი თითბერიძისაგან).

- 1). ველსა პატარა სოფელსა არაეინ იარებოდა,
 მისდა მჭვრეტელის მჭვრეტელას
 თვის თვისად ეუბნებოდა,
 კაცთა უხორცო ხორცითა
 სახითა ეჩვენებოდა.
- 2). ცანი იყენენ, და არ იყენენ ხილული ქვეყანისა,
 კაცნი იყენენ, და არ ჰქონდათ მათ ალაგები გზისანი;
 მოვიდნენ მოციქულები—ვერ ეძლოთ სიტყვა თქმისანი,
 მოიღეს წიგნი, არ ჰქონდათ ნიშანი წაკითხვისანი.



რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)

”  ”  ”

თევზის ძვალს
რა ჰქვია?

 ” 

”  ”  ”

ბოროტი
ანუ?

 ” ს ” 

”  ”


ანბანის მესამე
ასო

 ” ს ” 

”  ”  ” 

”

ძნას რით
ჰკრავენ?

 ” 



შეგონებები

ქალბ. რედაქტორო!

ქიათურის სავაეო და საქალებო სკოლის უმცროს განყოფილების მოწაფეებმა, 28 დეკემბერს, ადგილობრივ სავაეო სკოლის შენობაში გამართეს ჟურნალების სასარგებლოდ საბავშვო საღამო. წმინდა შემოსავალი 1200 მ. იყო. ამ ფულის ნახევარი ეგზავნება ჟურნალ „ჯეჯილს“ და ნახევარი „ნაკადულს“.

მადლობის ღირსნი არიან საღამოს მომწყობი შემდეგი მოწაფეები: IV განყოფილების მოწაფე თამარა კაციტაძე, ცუცუ თოფურია, II განყოფ. მოწაფე მარუსა ბარათაშვილი.

სადიკო ვაშაძე.

პატივცემულო რედაქტორო!

ამასთანავე გგზავნით 600 მან., რომელიც ბავშვთა ჯგუფმა ქიათურაში შეაგროვა საბავშვო საღამოს გამართვით. გთხოვთ ამ ფულიდან 300 მანეთი გადასცეთ ჯარის დამხმარე კომიტეტს, ხოლო დანარჩენი 300 მან. ჩვენი საყვარელი „ნაკადულის“ ფონდის გაძლიერებას მოახმაროთ.

ბავშვთა ჯგუფის მონდობილობით: თამარა ვარაზაშვილი, თამარა კაციტაძე, ელენე წერეთელი, მადლენა სიხარულიძე.

ამასთანავე მადლობას ვუცხადებთ ალ. ჯაყელს, მიხ. მასხელიას, სევ. ჩიქოვანს, პოლ. აბესაძეს და მიხ. ჩუბინიძეს, რომლებმაც ხელი მოგვიწვეს შემოწირულობით.

რედაქციისაგან. ნაკადულის რედაქციამ ქ-ნ სადიკო ვაშაძისაგან მიიღო ქიათურის სავაეო და ქალთა სკოლების მოწაფეთაგან გამოგზავნილი 600 მან. და ბ-ნ ი. ვარაზაშვილისაგან ბავშვთა ჯგუფის მონდობილობით 600 მან. 300 მან. უკვე გადაეცა ჯარის დამხმარე კომიტეტს. რედაქცია მზურვალე მადლობას უძღვნის ბავშვებს, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს ჟურნალს მძიმე გაჭირვების დროს.

დასურათებული სახმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი შეუთხშეცე)

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

ჟურნალი გამოვა თვეში ერთჯერ მცირე-წლოვანთათვის—48 გვერდი და მოზრდილთათვის—64 გვერდი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—55 მან. ნახევარი წლით—30 მან. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის—30 მ. მოზრდილთათვის—30 მან.

ფოსტის ადრესი: თბილისი, „ნაკადულის“ რედაქცია. ტელეფონი 7—51.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან, თ. მთავრიშვილთან და მატრონე მომფორიასთან; ფოთში—ლუდმილე მეგრელიძისთან; ბათუმში—ტროფიმ ინასარიძისთან—ფოსტაში; თელავში—ვანო პაატაშვილთან; გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან; კიათურაში—ი. წერეთელთან; ხონში—მ. ი. ქავჭავანიძისთან; ოზურგეთში—სალომე ხუნდაძისთან; ლანჩხუთში—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თ. შავლეი იოსების ძე თუშანიშვილი.